ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 5 დეკემბერი 2001 №232 (1505) | ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

## მსაჯმა თუ ფეხი გაიშვირა...

...88-ე წუთი იყო. პორტუგალიელმა მანუელ პერეირამ პირესს მოედნის ცენტრში ბურთი მიაწოდა და დაიწყო,.. პირესმა ბურთი ლიუნგბერგს გაატანა, შევედმა მეტოქის საჯარიმომდე ჩაიტანა და იქ დენის ბერხკამპს ჩააბარა, ამან გაიხსენა, რომ ერთ დროს სასწაულების მოხდენა შეეძლო, ციბრუტივით დატრიალდა, მცველებს თავგზა აუბნია და მოხდენილი პასით თავწითელა შვედი მეკარეს პირისპირ შეატოვა, ლიუნგბერგსაც გატანა არ გასჭირვებია და 3:1— ლონდონის „არსენალმა“ „ჰაიბერიზე“ ტურინის „იუვენტუსს“ სამი ქულა დაატოვებინა.

თავში ნახსენები პერეირა ვინლააო, თუ იკითხავთ, გიპასუხებთ, არსენ ვენგერის ახალშენაძენი არ გეგონოთ, გუშინდელი მატჩის მსაჯი იყო. სწორედ მან ჩაშალა უნებლიედ „იუვენტუსის“ შეტევა და ლონდონელთა მესამე გოლიც მოამწიფა. ამიტომაც იყო, ედგარ დავიდსის რისხვა რომ დაიტეხა თავს, თუმც ვალში არც ის დარჩენია „პიტ ბულს“, ჩვეული გაცოფება ყვითელი ბარათით ჩაუცხრო.

წინა ტურში იტალიელთაგან შერცხვენილმა ლევერკუზენის „ბაიერმა“ ჯავრი „დეპორტივოზე“ იყარა. გერმანელები 64-ე წუთამდე უშედეგოდ ბომბავდნენ ესპანელთა კარს, მერე კი თხუთმეტწუთიან მონაკვეთში სამჯერ მოახვედრეს მიზანს.

ბერძნული „პანათინაიკოსის“ მეკარე ნიკოპოლიდისმა გვარიანად აწყვიტა ნერვები „სანტიანგო ბერნაბეუზე“ შეკრებილ ფანობას. მადრიდელთა ყველა დარტყმული ბურთი მისი ლუკმა ხდებოდა, მაგრამ ზიდანმა, ფიგუმ, რაულმა და კომპანიამ ძალიან მოინდომეს და ნიკოპოლიდისს ბურთი კარიდან სამჯერ გამოატანინეს, რაც ერთხელაც ვერ მოახერხეს პორტუგალიელებმა: „პორტუმ“ ვერაფერი დააკლო „სპარტას“ მეკარე ჩეხს, საკუთარმა კი ისეთი გაუშვა, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მოთამაშე გუნდის მეკარეს რომ არ ეკადრება.

იხილეთ მეორე გვერდი




„რეალი“ — „პანათინაიკოსი“ 3:0. ლუიშ ფიგუმ ბერძნებს ბევრი ურტყა

REUTERS

## ჩივაძე ჟორდანიას



# 95 პროცენტია



### 20 დეკემბერს სურვილების აღმასრულებელი კომიტეტია: პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტს ალბათ ნაკრებს ჩააბარებს

ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან იხილეთ მეთერთმეტე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური. გუშინ

### C ჯგუფი

#### პორტუ 0:1 სპარტა

0:1 სიონკო (74)
პორტუ: სანტუში, კარვალიუ, პარედესი, დეკო სოუზა, ანდრადე, სოდერსტრიომი, იბარა (კანდიდუ კოშტა 75), ნუნუ კაპუშუ, კლეიტონი (პოსტიგა 73), მარიუ სილვა, პენა (პაულუ კოშტა 46)
მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ
სპარტა: ჩეხი, ლაბანტი, პაშეკი (ზელენკა 90), ფლახბარტი, ირჟი ნოვოტნი, კინცლი, მიხალიკი, პარტიგი (გოლუბი 90), სიონკო (პაპუშეკი 81), ჰუბშმანი, იაროშიკი
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: ჰუბშმანი, კინცლი
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

#### რეალი 3:0 პანათინაიკოსი

1:0 ელგერა (41), 2:0, 3:0 რაული (66, 72)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 77), იერო (კარანკა 53), მაკონი, ელგერა, სელადესი, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი (მუნიტისი 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ჰენრიკსენი, გუმასი, ფისასი, მიკაელსენი (კარაგუნისი 46), პაულუ სოუზა (ბოატენგი 46), ბასინასი, ოლისადებე, კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 70)
მწვრთნელი: იანის კირასტასი
გაფრთხილება: ფისასი, სეიტარიდისი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

### D ჯგუფი

#### ლევერკუზენი 3:0 დეპორტივო

1:0 ზე რობერტო (64), 2:0 ნოივილი (67), 3:0 ბალაკი (79)
ლევერკუზენი: ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი, რამელო, ბალაკი (ვრანიეში 87), ზე რობერტო, კირსტენი (ბაშთურქი 75), ნოივილი (ბერბატოვი 86)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
დეპორტივო: მოლინა, ექტორი, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი, ფრანი (ამავისკა 59), სკალონი (ჯალმინია 71), ვალერონი (ტრისტანი 75), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სკალონი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
22 500 მაყურებელი

#### არსენალი 3:1 იუვენტუსი

1:0 ლიუნგბერგი (21), 2:0 ანრი (28), 2:1 ტრეზეგე (49), 3:1 ლიუნგბერგი (88)
არსენალი: ტეილორი, ლორენი, აშლი, კემბელი, ეშლი კოული (კიოუნი 89), ლიუნგბერგი, ვიეირა, პარლოუ, პირესი, კანუ (ბერხკამპი 69), ანრი (გრიმანდი 85)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, ბირინდელი, პესოტო (პარამატი 77), ძამბროტა, ტუდორი (დავიდსი 21), ტაკინარდი, ნედვედი (ამორუზო 71), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ნედვედი, ბირინდელი, კანუ, დავიდსი
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
35 421 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |




არსენალი — იუვენტუსი. სტუმართა ამ შეტევას ის გოლი მოჰყვა, რომლის ავტორიც ხეირიანად ვერც გაარკვიეს



რეალი — პანათინაიკოსი. რაულს თავისი პირველი გოლი ლამის თვალის წამოგდებად დაუჯდა




ლევერკუზენი — დეპორტივო. აცეკვებული ორი მეგოლე: მიხაელ ბალაკი და ოლივერ ნოივილი



მარჩელო ლიპის მოუწყენია, სამი გოლი ხომ ფრიად საწყენია

## ინგლისი

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**მილუოლი 2:3 მანჩესტერ სიტი**

0:1 გოტერი (23), 1:1 სადლიერი (45), 1:2 ჰაკერბი (68), 2:2 კლარიჯი (77პ), 2:3 რაიტ-ფილიპსი (83)

### II დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**კარდიფი 3:1 ბრენტფორდი**

## ჰოლანდია

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**აიაქსი 4:0 სიტარდი**

## გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### გადადებული მატჩი

**რეგენსბურგი 2:3 აალენი**

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

UEFA CUP

საპასუხო მატჩები. გუშინ

**ლოკომოტივი** (რუსეთი) 0:1 **ჰაპოელი** *(თელ ავივი, ისრაელი)* (1:2)
0:1 ოსტერცი (48)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი, სარქისიანი (ობიორა 65), სენნიკოვი, ვუჩიჩევიჩი, პიმენოვი
ზაზა ჯანაშია სათადარიგო იყო
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ოსტერცი, ლოსკოვი, ჰალმაი, ელიმელეხი, ნიჟეგოროდოვი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
10 000 მაყურებელი

**დორტმუნდი** *(გერმანია)* 1:0 **კოპენჰაგენი** (დანია) (1:0)
1:0 სორენსენი (89)

**როდა** *(ჰოლანდია)* 2:0 **ბორდო** (საფრანგეთი) (0:1)
1:0 ანასტასიუ (56პ), 2:0 ლავალი (65)
გაძევება: ბატლე (55, „ბორდო“)



ლევერკუზენი — დეპორტივო. ულფ კირსტენი კი წაიქცა, მაგრამ ენრიკე რომერო (№3) ბურთიანად ვერ გაექცა

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### მანჩესტერი — ბოავიშტა

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, ბლანი, სილვესტრი, კინი, ბექემი, ვერონი, ფორჩუნი, სქოულზი, ვან ნისტელროოი

რიკარდუ, ფრეშაუ, ერივენი, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, სანჩესი, ალეშანდრე, მარტელინიუ, სერჟინიუ, დუდა, ელპიდიუ სილვა (ან მარსიუ სანტუში)

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

### ნანტი — ბაიერნი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლანდრო, არმანი, ფაბრი, ჟილე, დელომო, ლასპალი, ბერსონი, ჯემბა, და როშა, ზიანი, მოლდოვანი

ვესელსი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, სფორცა, ფინკი, ელბერი, იანკერი, ციკლერი

ნანტი. „ლა ბოჟუარი". მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

# კეინით დაცვას ვერ შეანებებ

## ღეჭვის მოყვარულ სერ ალექსს გუნდი გაუღეჭეს

**კრიტიკული დღეები** უდგას „მანჩესტერ იუნაიტედს". სერ ალექსის გუნდმა ვერაფრით იპოვა საკუთარი თამაში. წინა შაბათს ლონდონელმა არისტოკრატებმა ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, როცა მანჩესტერელებს სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს. მართალია, ფაბიენ ბარტეზს იმ მატჩში ტუტუცობა არ დაუწყია, მაგრამ დაცვაში რაზანია გაჩენილი ღრიჭოების ამოვსება ფერგიუსონმა კვლავაც ვერ შეძლო. ამის მიზეზი დენის ირვინისა და რონი იონსენის ძველი ტრავმებია, რომლებიც დღესაც ვერ ითამაშებენ. ცნობილია, უდიდესი დანაკლისია რაიან გიგზის არყოფნაც. მისმა შემცვლელმა კვინტონ ფორჩუნმა „ჩელსისთან" შეხვედრაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. შესაძლოა, დაცვის შესაძლებლად ალექს ფერგიუსონმა როი კინი გამოიყენოს და უკანა ხაზზე გაამწესოს.

„ბოავიშტა" კი მცველ ჟოსე ბოსინგვას მოისაკლისებს. ასევე საეჭვოა ბრაზილიელი ფორვარდის ელპიდიუ სილვას თამაშიც, რადგან ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია. მის მაგივრად თავდასხმაში შეიძლება მარსიუ სანტუში ვიხილოთ. გავიხსენოთ, რომ პორტუგალიელებმა „ლივერპულთან" პირველი ჯგუფური ეტაპის ორივე მატჩში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ყველას უჩვენეს, თუ რეალურად რისი ძალა შესწევთ.

საბრძოლო განწყობაა სუფევს „ნანტშიც". რეინალდ დენიოს ბიჭები ვიორელ მოლდოვანის დაბრუნებით გახარებულნი არიან. რუმინელი ფორვარდი აგერ უკვე რამდენიმე თვეა, გუნდს აკლდა და ალბათ, დღევანდელ შეხვედრაში მისი ყოფნა ფრანგულ გუნდს დიდად წაადგება.

სამაგიეროდ, ნანტელებს კოლუმბიელი თავდამსხმელი ვიქტორ ბონილია არ ეყოლებათ. მას მხოლოდ მომავალი წლის იანვარში შეუძლია გუნდს შეუერთდეს. ყველა დანარჩენი მოთამაშე მწყობრშია.

მიუნხენის „ბაიერნის" საქმეები ბოლო დროს გვარიანად აიწეწა, რამაც ოტმარ ჰიცფელდი სერიოზულად დააფიქრა: „დღევანდელ მატჩში გამარჯვება ჰაერივით გვჭირდება. შელახული ღირსება უნდა დავიბრუნოთ. აგერ, ბუნდესლიგაში ბოლო სამი მატჩიდან ორში დავმარცხდით, „მანჩესტერთან" მარცხს კი ძლივს გადავურჩით. ყოველივე ამის გამო გუნდის თამაში კრიტიკას ნამდვილად იმსახურებს, განსაკუთრებით დაცვის ხაზი, რომელმაც „ჰერტასთან" საშინელი შეცდომები დაუშვა. ვფიქრობ, ასე ჩვენ ბუნდესლიგას ნამდვილად ვერ მოვიგებთ".

ახლა დანაკლისზეც ვთქვათ. ტრავმების გამო არ იქნებიან ოლივერ კანი და შტეფან ეფენბერგი. ამ უკანასკნელის ნაცვლად ჰიცფელდი, ალბათ, ჩირიაკო სფორცას ათამაშებს. ბოლომდე არ მომჯობინებულან მეჰმეთ შოლი და იენს იერემისი. იერემისის ადგილს სავარაუდოდ, ოუენ ჰარგრივსი დაიკავებს.

ჰიცფელდს, რადაც უნდა დაუჯდეს, ნანტში თამაშის მოგება განუზრახავს და სამი ფორვარდით აპირებს შეტევას. ჯოვანი ელბერს და ალექსანდრ ციკლერს ხოტორა კარსტენ იანკერსაც მიახმარს.



როი კინი: დაცვაც ჩემი მისახედია?!

**ვაჟა ხუციშვილი**

## B ჯგუფი

### ბარსელონა — გალათასარაი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბონანო, პუიოლი, კრისტენვალი, ფ. ანდერსონი, დე ბური, კოკო, როჩემბაკი, ხავი, კოკუ, რივალდო, სავიოლა, კლუივერტი

მონდრაგონი, ბიულენტ ქორქმაზი, ემრე ასიქი, კაპონე, ჰაქან უნსალი, ერგუნი, ფლურკინი, სერგენი, აიჰანი, არიფი, უმით კარანი

ბარსელონა. „კამპ ნოუ". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### რომა — ლივერპული

**სავარაუდო შემადგენლობები**

ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ალდაირი, გიგუ, ემერსონი, ტომაზი, ლიმა, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა

დუდეკი, კარაგერი, ანშო, ჰიპია, რიისე, ჰამანი, მერფი, მაკალისტერი, ჯერარდი, ოუენი, ჰესკი

რომი. „სტადიო ოლიმპიკო". მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

# სიმახინჯე მერსისაიდულად

## ლივერპულმა თხარა, თხარა...

**„რომა" — „ლივერპულის"** მატჩის წინ „ბითლზის" სიმღერა შესრულდება, ჯორჯ ჰარისონის ხსოვნის საპატივცემულოდ...

იყო დრო, ინგლისში მეხივით გავარდა ფრაზა — „სექსუალური ფეხბურთი". ეს ცნება „ნიუკასლის" ყოფილ მენეჯერ რუუდ გულიტს ეკუთვნოდა. ახლა კი ალბიონზე კვლავ ორსიტყვიანი კაზმულობაა მოდაში — „მახინჯი ფეხბურთი"...

თუმც „ლივერპულის" მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ფილ ტომპსონი ბედნიერია. მისი გაწვრთნილი გუნდი „მახინჯი" თამაშითაც ლიდერობს პრემიერლიგას. ტომპსონი არ უარყოფს, რომ „ლივერპული" მაშინ გამოიყურება საუკეთესოდ და იმარჯვებს, როცა ლამაზად არ თამაშობს და სჯერა, რომ სწორედ ამ ფაქტორის წყალობით მოექცა პრემიერლიგის მწვერვალზე.

ერთი სიტყვით, რომის ოლიმპიურ სტადიონზე ფაბიო კაპელოს კარგად გაპოხილ მანქანას „მახინჯი ფეხბურთი" დაუპირისპირდება. „ფეხბურთელებმა ძალიან ბევრი იშრომეს, რათა მახინჯურად მოეგოთ შეხვედრები, როგორც ამას ჩვენზე ამბობენ. ახლო წარსულში „ლივერპულმა" ლეგენდები იმით შექმნა, რომ ვერ ბრწყინავდა, მაგრამ თამაშებს 10 იგებდა და ტიტულებს იხვეჭდა. დგება მომენტი, როცა იძულებული ხარ, მიწა ღრმად ამოთხარო, თამაშით გაიხვითქო და არავის შეუძლია, ეს უკეთ გააკეთოს, ვიდრე „ლივერპულმა" მოახერხა ბოლო 18 თვეში" — თქვა ტომპსონმა.

უცნაური მეტაფორები ჰყვარებია ტომპსონს, რომლის დამოძღვრილმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპი მარცხით დაიწყო — მერსისაიდელები „ენფილდზე" დამარცხდნენ „ბარსელონასთან", თუმც მერე ზედიზედ ორი პრემიერლიგური მატჩი მოიგეს. „საკუთარი ძალების რწმენა ასეთ დროს ბევრს ნიშნავს — ირწმუნება ტომპსონი და დასძენს — ჩვენი მაიკლ ოუენი მსოფლიოში ცნობილი, სახელოვანი ფეხბურთელია. ყველა მეტოქე თვლის, რომ პირველ რიგში ის უნდა შეაჩერონ, მაგრამ „ლივერპულში" სხვებიც არიან, რომელთაც გოლის გატანა და მეტოქისთვის ზიანის მიყენება შეუძლიათ".

„ლივერპულს" არ ეყოლება ტერფმოტეხილი მცველი გრეგორი ვინალი, აგრეთვე ვირუსშეყრილი მარკუს ბაბელი, შუახაზში კი ნაოპერაციებ ნიკ ბარმბის მოისაკლისებს. სამაგიეროდ, ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა.

რომაელებს მარჯვენა ფლანგი ადარდებთ, ბრაზილიელი კაფუ ხომ დაშავებულია და ვერც დღეს ითამაშებს. მას, ალბათ, ურუგვაელი ჯანი გიგუ შეცვლის.



მაიკლ ოუენს მეტოქეები ყველას სცემს, მაგრამ ყველა ვერ აჩერებს

„რომას" პრობლემა წინა ხაზშიც აქვს. ნაკლებად სავარაუდოა, ფაბიო კაპელომ გაბრიელ ბატისტუტას თავდასხმაში მარკო დელვეკიო შეუწყვილოს. „რომას" დამრიგებელი, ალბათ, მაინც უფრო საზარდულმტკივან ფრანჩესკო ტოტის ენდობა.

კატალონიაში კი „ბარსასგან" მხოლოდ გამარჯვებას ელიან, რივალდოსგან კი — თავგანწირვას. საქმე ისაა, რომ ბრაზილიელს ისეთი ტრავმა აქვს, რომ გულმოდგინე და პერმანენტულ მკურნალობას საჭიროებს. მას ტკივილი აწუხებს და დღეს გამაყუჩებლებით მოუწევს „კამპ ნოუზე" გასვლა თურქების წინააღმდეგ. „ეს სეზონი ჩემთვის ძალიან რთული გამოდგა, თეძოს კუნთი კვლავ მტკივა, მაგრამ ჩემი თავი შევამზადე იმისთვის, რომ მსხვერპლი გავიღო ამ თამაშის მოსაგებად" — რივალდო იმასაც აღნიშნავს, რომ ტრავმის გამო ეს მისი საუკეთესო მატჩი არ იქნება.

საშინაო ფრონტზე „ბარსელონა" ბოლო დროს ვერ ბრწყინავს, „ბილბაოსთან" და „ალავესთან" დამარცხების შემდეგ პრიმერადივიზიონში ოდენ მე-8 ადგილი უკავია. კატალონიურ კლუბს საგოლე მომენტების გამოუყენებლობაც დასჩემდა და თუ დღესაც ასე მოხდა, „გალათასარაის" დამარცხება გაუჭირდება.

წყალი არ გაუვა, ხავიერ სავიოლა დღეს აუცილებლად ითამაშებს — ირწმუნებიან ესპანელი ჟურნალისტები და საბაბიც აქვთ — მარკ ოვერმარსმა „ლივერპულთან" გოლი რომ გაიტანა, მას მერე თავი არაფრით გამოუჩენია და მის ნაცვლად ვინ უნდა ითამაშოს, თუ არა არგენტინელმა. ნახევარდაცვის ცენტრში კი ტრავმირებულ ლუის ენრიკეს ბრაზილიელი როჩემბაკი შეცვლის.

„გალათასარაი" თავის საუკეთესო ფორვარდ ჰაკან შუქურს ვერ გაიყვანს „კამპ ნოუზე", მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია სტკიცეს. სამაგიეროდ, ტრავმამოშუშებულ პლეიმეიკერ სერგენსა და მცველ სებასტიან პერესს იახლებს — მირჩა ლუჩესკუს გაწვრთნილი „თურქული ლომი" ძნელად წასაქცევი უნდა გამოდგეს.

**დავით თავართქილაძე**




ტედი შერინგემმა გუსტავო პოიეტის დაწყებული დაასრულა

# ვინ, თუ არა ესენი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XV ტური

**ტოტენჰემი 3:2 ბოლტონი**

0:1 რიკეტსი (8), 1:1 პოიეტი (47), 2:1 ფერდინანდი (48), 2:2 უოლესი (56), 3:2 შერინგემი (86)

**ტოტენჰემი:** სალივანი, ქ. დევისი, რიჩარდსი, პერი (ბუნიევჩევიჩი 46), კინგი, ციგე. პოიეტი, ანდერტონი, ფრიდი (ლ. ფერდინანდი 46), რებროვი (ლეონარდსენი 88), შერინგემი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ნგოტი, უიტლოუ, ბერგსონი, ჩარლტონი, გარდნერი (მ. ჯონსონი 87), ნოლანი, ფარელი (ჰანსენი 87), ფრანდსენი, უოლესი, რიკეტსი (ჰოლდსუორთი 74)

მწვრთნელი: სემ ოლიარდისი

გაფრთხილება: ნოლანი, რიკეტსი

მსაჯი: დარკინი

32 971 მაყურებელი

„ბოლტონის“ დამარცხებით „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ცხრილში „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ გადაასწრო. საერთოდ, გლენ ჰოდლის ბიჭებმა „მანჩესტერის“ გარდა „ჩელსიც“ ჩამოიტოვეს და „ასტონ ვილაც“, მაგრამ ფერგიუსონის გუნდზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ გამარჯვების გოლი მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ტედი შერინგემმა გაიტანა საჯარიმო დარტყმით. შერინგემი კი, მოგეხსენებათ, ამ სეზონამდე მანჩესტერელი იყო, ისევე როგორც იაპ სტამი და ამ ორის გაყიდვამ (ბარტეზის მაპატიეთ და, გამოსულელებასთან ერთად) „მანჩესტერი“ შავ დღეში ჩააგდო.

თუმცა გვეყო „იუნაიტედზე“ ლაპარაკი და ის ვთქვათ, რომ ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, რაც მაიკლ რიკეტსმა მერვე წუთზე მოახერხა. ამ გოლს მასპინძელთა იერიშები კი მოჰყვა, მაგრამ შესვენებამდე შედეგი არ მოჰყოლია.

„წაგებული ტაიმის შემდეგ რაღაც უნდა გველონა — თქვა მოგვიანებით გლენ ჰოდლმა — ლეს ფერდინანდის და გორან ბუნიევჩევიჩის შეყვანა გადავწყვიტე, რამაც გაამართლა კიდეც“.

თამაშის განახლებიდან ორიოდ წუთში გუსტავო პოიეტმა გაათანაბრა. ეს ასე მოხდა: დარენ ანდერტონმა ფერდინანდს ჩააწოდა, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა. ბოლტონელმა მაიკ უიტლოუმ ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ ხარიხას გაარტყა, დამატებაზე კი ყოფილმა ჩელსელმა ივარგა.

ოქმიდანაც ჩანს, რომ ფერდინანდმა მეორე გოლი ერთ წუთში მიაყოლა, თუმც ამ მოკლე ხანში სხვა მომენტიც შეიქმნა. მასპინძელთა საჯარიმოში შერინგემისა და რიკეტსის ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის წაქცევით დასრულდა, მაგრამ ბოლტონელთა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო — პოლ დარკინმა პენალტი არ დანიშნა. რაც შეეხება მეორე გოლს, ფერდინანდმა ბუნიევჩევიჩის პასით შეაგდო — ესეც მწვრთნელის გონივრული შეცვლა.

ანგარიში ერთხელაც გათანაბრდა, ოღონდ ეს მისია ამჯერად სტუმრებმა იკისრეს — თითქოს განსაკუთრებით სახიფათო მომენტი არც ყოფილა, მაგრამ ჩაწოდებულ ბურთს როდ უოლესმა ძლიერად დაუხვედრა ფეხი და ნილ სალივანი სახტად დატოვა.

„იმედგაცრუებული ვარ. გასვლაზე ორი გოლის გატანა შევძელით და მაინც ხელცარიელნი დავრჩით“ — იტყვის მოგვიანებით სტუმართა მწვრთნელი სემ ოლიარდისი. ხელცარიელნი კი ბოლტონელები, როგორც თავში ვთქვით, იმ ფეხბურთელმა დატოვა, რომელსაც მანჩესტერული ეპოქიდან მოყოლებული შეუძლია, მთელი მატჩი არაფერი აკეთოს ან სათადარიგოთა სკამზე იჯდეს, ბოლო წუთზე კი გამარჯვებისა შეაგდოს — ეს ტედი შერინგემია.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 13 | 9 | 2 | 2 | 23:11 | 29 |
| არსენალი | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | 26 |
| ლიდსი | 14 | 6 | 7 | 1 | 16:8 | 25 |
| ნიუკასლი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 |
| ტოტენჰემი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:20 | 24 |
| ჩელსი | 14 | 5 | 8 | 1 | 19:11 | 23 |
| ასტონ ვილა | 14 | 6 | 5 | 3 | 18:14 | 23 |
| მანჩესტერი | 14 | 6 | 3 | 5 | 31:26 | 21 |
| ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:17 | 20 |
| ბოლტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:20 | 20 |
| ბლექბერნი | 15 | 4 | 7 | 4 | 21:17 | 19 |
| ფულემი | 14 | 4 | 7 | 3 | 15:13 | 19 |
| სანდერლენდი | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | 19 |
| მიდლსბრო | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | 19 |
| ჩარლტონი | 14 | 3 | 6 | 5 | 17:19 | 15 |
| ვესტ ჰემი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:27 | 15 |
| ლესტერი | 15 | 3 | 4 | 8 | 9:25 | 13 |
| საუთჰემპტონი | 14 | 3 | 1 | 10 | 11:24 | 10 |
| დერბი ქაუნთი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | 10 |
| იფსვიჩი | 15 | 1 | 6 | 8 | 14:24 | 9 |

### ლიგის თასი. მეოთხედფინალის წილისყრა

11 დეკემბერი: ბლექბერნი — არსენალი; ტოტენჰემი — ბოლტონი

12 დეკემბერი: ჩელსი — ნიუკასლი

19 დეკემბერი: შეფილდ უენსდეი (I) — უოტფორდი (I)

BARCLAYCARD FA PREMIERSHIP

# ლივერპული ძუნწია: ბარქლიქარდი არავის გაუყო

**პრემიერლიგაში** ნოემბრის საუკეთესო მწვრთნელად ფილ ტომპსონი დაასახელეს, რომელიც ჟერარ ულიეს ავადმყოფობის გამო დროებით ასრულებს „ლივერპულის“ თავკაცის მოვალეობას. შეგახსენებთ, რომ ამგვარ დაჯილდოებას პრემიერლიგის სპონსორი „ბარქლიქარდი“ აწყობს. ტომპსონის სანაქებოდ კი უნდა ითქვას, რომ ჩინებულად სწევს ულიეობას. ერთი ესაა, რომ „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ დამარცხდა, თორემ პრემიერლიგაში კარგად მისდის საქმე — ენფილდელები ლიდერები არიან.

„ლივერპულის“ წარმატებულმა ნოემბერმა ბევრს შეაცვლევინა აზრი „მანჩესტერ იუნაიტედის“ გაჩემპიონებაზე. ახლა პრემიერლიგის მოგების უმთავრეს კანდიდატად ენფილდელებს მიიჩნევენ. გავიხსენოთ, რომ სწორედ ნოემბერში მოახერხა „ლივერპულმა“ მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა — 3:1.

ფილ ტომპსონის თვის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებას ისიც დაემთხვა, რომ ნაინფარქტალი ჟერარ ულიე ოპერაციის შემდეგ პირველად მივიდა „ლივერპულის“ საწვრთნელ ბაზა „მელვუდზე“. ტომპსონმაც სწორედ ბოსს მიუძღვნა გამარჯვება და განაცხადა: „მე მხოლოდ დროებით გავაგრძელე ულიეს დაწყებული საქმე და თუკი რაიმეს მივაღწიეთ, ამაში ლვაწლი უპირატესად მას მიუძღვის. ქების ღირსია მთელი გუნდიც. ბიჭები ამ რთულ პერიოდში მონდომებულნი იყვნენ, მათი უმთავრესი საფიქრალი კი მწვრთნელის გამოჯანმრთელება იყო“.




დენი მერფიმ და ფილ ტომპსონმა ჟერარ ულიე შუაში ჩაისვეს

ამ თბილი სიტყვების შემდეგ ტომპსონმა ჯილდოთი ხელში ულიესთან ერთად ფოტო გადაიღო, ფრანგ მწვრთნელს კი მეორე მხარეს ასევე პრიზით ხელდამშვენებული დენი მერფი ამოუდგა, რომელიც პრემიერლიგის ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მერფის ბოლო ხანს ძლიერი თამაში იმითაც დაუფასდა, რომ პირველად მიიწვიეს ინგლისის ნაკრებში.

თვის ფეხბურთელი თვის მწვრთნელმა ასე შეაქო: „უეჭველია, რომ მერფი ახლა ინგლისში ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია. მისი ბოლოდროინდელი პროგრესი თვალში საცემია. ეს კი მთელ „ლივერპულს“ ეამაყება“.

დაბოლოს, ისინიც გავიხსენოთ, ვისაც ოქტომბერში დაუფასდა გარჯა. მაშინ საუკეთესო მწვრთნელად ტოტენჰემელი გლენ ჰოდლი, ხოლო მოთამაშედ ლიდსელი რიო ფერდინანდი მიიჩნიეს.

**ნიკა შუღლაძე**

## პორტუგალია

### I ლიგა. XIII ტური

**ბელენენსეში 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ჟოზე აფონსო (86)

**ვარზიმი 0:3 ფეირეირა**

0:1 რიბეირუ (14), 0:2 ბრუნო მაურო (43), 0:3 რიბეირუ (60)

**ბეირა მარი 0:0 გიმარაეში**

**ალვერკა 1:1 ლეირია**

0:1 კუნია (56), 1:1 ნევეში (81)

**ბენფიკა 2:1 სანტა კლარა**

0:1 რუი გრეგორიო (4), 1:1 სიმაო (19პ), 2:1 მანტორაში (39)

**მარიტიმუ 0:2 სპორტინგი**

0:1 ჟარდელი (61პ), 0:2 ბარბოსა (78)

**სალგეირუში 1:1 ბოავიშტა**

0:1 სანჩესი (15პ), 1:1 ტონი კოშტა (81)

**პორტუ 2:0 ფარენსე**

1:0 დეკო სოუზა (11), 2:0 კლეიტონი (30)

**სეტუბალი 0:0 ბრაგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 9 | 1 | 3 | 27:10 | 28 |
| ბენფიკა | 13 | 7 | 6 | 0 | 22:12 | 27 |
| სპორტინგი | 13 | 8 | 2 | 3 | 29:10 | 26 |
| ბოავიშტა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:11 | 26 |
| ბელენენსეში | 13 | 6 | 2 | 5 | 17:18 | 20 |
| გიმარაეში | 13 | 5 | 4 | 4 | 13:14 | 19 |
| ლეირია | 13 | 4 | 6 | 3 | 18:13 | 18 |
| მარიტიმუ | 13 | 6 | 0 | 7 | 17:16 | 18 |
| ბეირა მარი | 13 | 4 | 5 | 4 | 24:22 | 17 |
| ბრაგა | 13 | 4 | 3 | 5 | 15:10 | 15 |
| სეტუბალი | 13 | 4 | 3 | 5 | 17:15 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 13 | 4 | 3 | 6 | 14:21 | 15 |
| ფეირეირა | 13 | 3 | 5 | 5 | 15:23 | 14 |
| ფარენსე | 13 | 4 | 2 | 7 | 9:19 | 14 |
| სალგეირუში | 13 | 4 | 2 | 7 | 12:25 | 14 |
| სანტა კლარა | 13 | 3 | 4 | 6 | 10:18 | 13 |
| ალვერკა | 13 | 3 | 3 | 7 | 16:26 | 12 |
| ვარზიმი | 13 | 2 | 3 | 8 | 10:26 | 9 |

### II ლიგა

მე-13 ტური: პენაფიელი — რიუ ავე 3:1; ოლივეირენსე — მაია 2:1; ოვაირენსე — ლეცა 2:1; ნავალი — ლამაში 1:2; მორეირენსე — შავეში 3:0; ამადორა — აკადემიკა 0:3; ნასიონალი — ავეში 2:0; პორტიმონენსე — კამპომაიორენსე 2:1; ფელგეირაში — ესპინიუ 1:3

## ბელგია

### I დივიზიონი. XIV ტური

**ლიერსი 1:2 მოლენბეკი**

1:0 გადიაგა (8), 1:1 ფასო (30), 1:2 კოლოტილკო (64)

**ლიერსი:** ვან დერ სტრაეტენი, სმეტსი, დე როეკი, შოთიკო ჯიქოლაძე, პორტერსი (ზიკომიჩი 68), ლაერემანსი, სნოექსი, სელსი, გადიაგა, ტომპსონი (იანსენსი 78), ფრიგარდი

**მამუკა წერეთელი** განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: რეჟი ვან ეკერი

მსაჯი: დე კონინკი

10 000 მაყურებელი

**ანდერლეხტი 4:2 მუსკრონი**

0:1 ბანი (25), 1:1 მორნარი (48), 2:1 ა. ილიჩი (60), 3:1 დინგანე (69), 3:2 ბანი (78), 4:2 სტოიკა (90)

**ბევერენი 1:1 ბეერსხოტი**

0:1 დეგრიზი (44), 1:1 დანილევიჩიუსი (50)

**ანტვერპენი 1:1 ლოკერენი**

1:0 გოოტსი (17), 1:1 ბანგურა (64)

**გენტი 0:0 ლომელი**

**გენკი 2:2 სინტ ტრუიდენი**

0:1 ბოფინი (26პ), 0:2 მატროვიჩი (29), 1:2, 2:2 ტიისი (48პ, 60პ)

**ლუვიე 3:3 ვესტერლო**

0:1 ვან დენ ბერგი (16), 1:1, 2:1 სიკე (37, 63), 2:2, 2:3 მ. ვერმეინი (81, 87), 3:3 ლუსიანო (90)

**აალსტი 1:1 შარლერუა**

0:1 ემამიფარი (13), 1:1 დიმზალა (69)

**ბრიუგე 1:3 სტანდარდი**

0:1 აარსტი (17), 0:2 მორეირა (29), 1:2 ლანგე (62), 1:3 აარსტი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 14 | 11 | 1 | 2 | 35:14 | 34 |
| გენკი | 15 | 9 | 5 | 1 | 42:19 | 32 |
| გენტი | 15 | 9 | 3 | 3 | 28:21 | 30 |
| სტანდარდი | 14 | 8 | 4 | 2 | 26:16 | 28 |
| ლოკერენი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:13 | 27 |
| ანდერლეხტი | 14 | 7 | 5 | 2 | 29:16 | 26 |
| ბეერსხოტი | 15 | 6 | 5 | 4 | 32:23 | 23 |
| სინტ ტრუიდენი | 15 | 5 | 4 | 6 | 23:24 | 19 |
| ლომელი | 15 | 4 | 6 | 5 | 27:31 | 18 |
| შარლერუა | 15 | 5 | 3 | 7 | 14:26 | 18 |
| აალსტი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:30 | 18 |
| მოლენბეკი | 15 | 5 | 2 | 8 | 21:28 | 17 |
| მუსკრონი | 15 | 5 | 1 | 9 | 25:24 | 16 |
| ვესტერლო | 14 | 4 | 3 | 7 | 21:24 | 15 |
| ლიერსი | 15 | 3 | 5 | 7 | 19:24 | 14 |
| ანტვერპენი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:27 | 12 |
| ლუვიე | 15 | 3 | 3 | 9 | 18:34 | 12 |
| ბევერენი | 15 | 1 | 5 | 9 | 13:36 | 8 |

### II დივიზიონი

მე-15 ტური. დენდერი — რონსი 1:1; მეხელენი — გეელი 1:1; ჰასელტი — ტიენენი 3:2; სერკლი — ვირტონი 2:1; ინგელმუნსტერი — ლიეჟი 2:1; მეულედენი — მონსი 1:1; ეუპენი — ოსტენდე 3:1; დენდერლეეუვი — დაინცე 2:2; რუზელარე — სტრომბეეკი 4:1

## იტალია

### სერია B. XV ტური

**ნაპოლი 3:2 პალერმო**

0:1 ..., 1:1 ..., 1:2 ... (12), 2:2, 3:2 სტელონე (47, 70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 14 | 9 | 3 | 2 | 24:13 | 30 |
| კომო | 14 | 9 | 2 | 3 | 19:13 | 29 |
| მოდენა | 14 | 8 | 4 | 2 | 30:11 | 28 |
| რეჯინა | 14 | 7 | 5 | 2 | 19:10 | 26 |
| კოზენცა | 14 | 7 | 2 | 5 | 22:22 | 23 |
| ჯენოა | 14 | 6 | 4 | 4 | 17:11 | 22 |
| სალერნიტანა | 14 | 6 | 3 | 5 | 18:18 | 21 |
| ვიჩენცა | 14 | 5 | 6 | 3 | 20:21 | 21 |
| პალერმო | 14 | 6 | 3 | 5 | 19:20 | 21 |
| ნაპოლი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:17 | 19 |
| მესინა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:15 | 18 |
| ანკონა | 14 | 5 | 3 | 6 | 12:15 | 18 |
| ბარი | 14 | 5 | 3 | 6 | 11:15 | 18 |
| სამპდორია | 14 | 4 | 5 | 5 | 15:15 | 17 |
| პისტოიეზე | 14 | 3 | 4 | 7 | 8:13 | 13 |
| კალიარი | 14 | 2 | 6 | 6 | 9:15 | 12 |
| კროტონე | 14 | 2 | 5 | 7 | 15:19 | 11 |
| ტერნანა | 14 | 1 | 8 | 5 | 12:17 | 11 |
| ჩიტადელა | 14 | 3 | 2 | 9 | 18:28 | 11 |
| სიენა | 14 | 1 | 6 | 7 | 12:21 | 9 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა. XV ტური

**ჰანოვერი 4:4 არმინია**

1:0 შტენდელი (23), 2:0 შტეფული (29), 2:1 ვიშნიარეკი (40პ), 2:2 ვან დერ ვენი (45), 2:3 ვიშნიარეკი (46), 3:3 ჟურავი (82), 3:4 ბორგესი (84), 4:4 შიმაკი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 15 | 11 | 3 | 1 | 34:15 | 36 |
| ჰანოვერი | 15 | 8 | 7 | 0 | 40:15 | 31 |
| არმინია | 15 | 8 | 3 | 4 | 29:16 | 27 |
| აინტრახტი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 26 |
| ბოხუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 26:21 | 24 |
| ფიურტი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:16 | 23 |
| ალენი | 15 | 7 | 2 | 6 | 29:35 | 23 |
| უნიონი | 15 | 6 | 4 | 5 | 31:20 | 22 |
| როიტლინგენი | 15 | 6 | 2 | 7 | 25:26 | 20 |
| უნტერჰახინგი | 15 | 6 | 2 | 7 | 17:19 | 20 |
| კარლსრუე | 15 | 6 | 2 | 7 | 20:24 | 20 |
| ალემანია | 15 | 5 | 3 | 7 | 16:28 | 18 |
| ვალდჰოფი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:22 | 17 |
| დუისბურგი | 15 | 3 | 6 | 6 | 21:25 | 15 |
| შვაინფურტი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:29 | 15 |
| ბაბელსბერგი | 15 | 4 | 2 | 9 | 19:36 | 14 |
| ობერჰაუზენი | 15 | 3 | 3 | 9 | 20:26 | 12 |
| ზაარბრიუკენი | 15 | 2 | 3 | 10 | 11:25 | 9 |

## დანია

მე-18 ტური: კოპენჰაგენი — ოლბორგი 3:0; ლიუნგბიუ — ბრონდბიუ 2:2; სილკებორგი — ორჰუსი 1:0; ესბიერგი — ვაილე 0:2; ოდენსე — აკადემისკი 2:2; ვიბორგი — მიდტიულანდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 18 | 12 | 4 | 2 | 44:11 | 40 |
| კოპენჰაგენი | 18 | 9 | 6 | 3 | 29:16 | 33 |
| აკადემისკი | 18 | 8 | 8 | 2 | 30:18 | 32 |
| ოლბორგი | 18 | 9 | 3 | 6 | 28:27 | 30 |
| ესბიერგი | 18 | 9 | 2 | 7 | 28:26 | 29 |
| მიდტიულანდი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:17 | 25 |
| ოდენსე | 18 | 6 | 7 | 5 | 27:27 | 25 |
| ვიბორგი | 18 | 4 | 8 | 6 | 21:23 | 20 |
| ვაილე | 18 | 4 | 4 | 10 | 22:45 | 16 |
| ლიუნგბიუ | 18 | 2 | 8 | 8 | 18:32 | 14 |
| ორჰუსი | 18 | 3 | 5 | 10 | 18:33 | 14 |
| სილკებორგი | 18 | 3 | 4 | 11 | 14:29 | 13 |

## თურქეთი

მე-14 ტური: გენჩლერბირლიგი — გოზთეფე 0:1; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 1:2; იოზგათი — ანკარაგიუჯიუ 0:2; გალათასარაი — ისთანბული 4:1; ქოჯაელი — გაზიანთეფი 0:0; მალათია — ტრაბზონი 1:0; ანთალია — ბურსა 3:0; რიზე — დიარბაქირი 2:0; დენიზლი — სამსუნი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 14 | 11 | 2 | 1 | 37:17 | 35 |
| ფენერბაჰჩე | 14 | 10 | 1 | 3 | 31:14 | 31 |
| ბეშიქთაში | 14 | 8 | 3 | 3 | 35:22 | 27 |
| ისთანბული | 14 | 8 | 1 | 5 | 13:12 | 25 |
| ბურსა | 14 | 7 | 2 | 5 | 20:22 | 23 |
| ქოჯაელი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:16 | 22 |
| გაზიანთეფი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:13 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 6 | 2 | 6 | 33:23 | 20 |
| გოზთეფე | 14 | 5 | 5 | 4 | 12:18 | 20 |
| ტრაბზონი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:19 | 18 |
| დენიზლი | 14 | 4 | 5 | 5 | 25:18 | 17 |
| ანთალია | 14 | 4 | 4 | 6 | 21:31 | 16 |
| რიზე | 14 | 3 | 5 | 6 | 17:20 | 14 |
| სამსუნი | 14 | 4 | 2 | 8 | 12:23 | 14 |
| დიარბაქირი | 14 | 3 | 3 | 8 | 20:30 | 12 |
| იოზგათი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:26 | 12 |
| მალათია | 14 | 4 | 0 | 10 | 12:30 | 12 |
| გენჩლერბირლიგი | 14 | 2 | 5 | 7 | 22:32 | 11 |

## ავსტრია

22-ე ტური: ავსტრია — კერნტენი 2:1; ბრეგენცი — რიდი 3:1; ზალცბურგი — ადმირა 2:0; ტიროლი — რაპიდი 1:0; შტურმი — გრაცერი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 20 | 15 | 3 | 2 | 40:4 | 48 |
| გრაცერი | 22 | 11 | 6 | 5 | 47:30 | 39 |
| შტურმი | 21 | 10 | 8 | 3 | 38:22 | 38 |
| ზალცბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 25:24 | 33 |
| კერნტენი | 21 | 9 | 5 | 7 | 25:28 | 32 |
| ავსტრია | 21 | 6 | 7 | 8 | 26:25 | 25 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 7 | 9 | 28:45 | 25 |
| რიდი | 22 | 5 | 6 | 11 | 27:38 | 21 |
| რაპიდი | 21 | 5 | 5 | 11 | 18:29 | 20 |
| ადმირა | 22 | 3 | 3 | 16 | 16:45 | 12 |

# წიხლი ფრანგული, მუჯლუგუნი ინგლისური
## შირერი გადაახვიეს, ჟინოლა გასულელდა



მსაჯმა ბენეტმა დავიდ ჟინოლა სწორად გააწითლა...

**პრემიერლიგის** ბოლო ტურში ორი ისეთი კაცი მიაბრძანეს მინდვრიდან, უხეშობით რომ არასოდეს გამოირჩეოდნენ.

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, „ნიუკასლის" მეგოლე ალან შირერი მოედანზეც და მის გარეთაც ყოველთვის ნამდვილი ჯენტლმენია. ამჯერადაც არაფერი დაუშავებია, თუმცა „ჩარლტონთან" შეხვედრაში წითელი ბარათი მაინც მიიღო. მატჩის არბიტრ ენდი დურსოს დაუნახავს, რომ ნიუკასლელს მასპინძელი ფეხბურთელისთვის საჰაერო ორთაბრძოლისას იდაყვი ჩაურტყამს. რა თქმა უნდა, წითელმა ფერმა ჩრდილოელთა მენეჯერი ბობი რობსონიც გადარია და მისმა პროტესტმაც არ დააყოვნა, თუმცა დურსო თავის გადაწყვეტილებას, აბა, როგორღა შეცვლიდა. ჰოდა, სტუმრებიც კაცკაკლეულნი დარჩნენ. ალან შირერმა კი, კაცთანაც და ღმერთთანაც მართალი ვარო, თქვა.

მატჩის შემდეგ კი ფირი გადაუხვევიათ და აღმოჩნდა, რომ შირერი ამ საქმეში უბრალო იყო. შედეგად სადისციპლინო კომიტეტმა ენდი დურსოს გაწითლებული გაამართლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ალან შირერს არანაირი დისკვალიფიკაცია აღარ ემუქრება.

ეს კი გამართლდა, მაგრამ ზემოთ ხსენებულმა კომიტეტმა ერთი კაცი მაინც იმსხვერპლა. ისიც ყოფილი ნიუკასლელია, ამჟამად კი „ასტონ ვილას" სათადარიგოთა სკამის მხეხავი. დავიდ ჟინოლას და ბირმინგემული კლუბის დამრიგებელ ჯონ გრეგორის შორის წინა ზაფხულს შავმა კატამ გაირბინა.



– ენდი დურსო კი ალან შირერთან შეცდა

ფრანგ ფეხბურთელს მას შემდეგ ძალიან იშვიათად უწევს ბურთის გორება. „ლესტერთან" საშინაო მატჩში კი, როცა სტუმრები უკვე ორი ბურთით დაწინაურდნენ, მწვრთნელმა ჟინოლა თამაშში ჩართო, ეგებ მოახერხოს რამეო. არც შემცდარა, ჟინოლამ „მოახერხა" — სტუმარ დენის უაიზს უხეშობისთვის ორმაგად გადაუხადა — წაქცეულმა წიხლი მიაყოლა მუცელში. მსაჯმა, რა თქმა უნდა, ეს არ აპატია და ფეხის მქნეველს წითელი ბარათი აუფრიალა, ხოლო სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა.

მარადჟამს მსაჯებით უკმაყოფილო ჯონ გრეგორი კი ამჯერად სრულიად სხვაგვარად ალაპარაკდა: „დიდი სისულელეა, როცა ასეთი გამოხტომისთვის მინდვრიდან მიგაბრძანებენ. სულაც არ იყო საჭირო იმის გაკეთება, რაც ჟინოლამ ჩაიდინა. ვფიქრობ, როცა ფეხბურთელი ბურთისთვის ბრძოლაში უხეშობს, მისი გაძევება არასწორია, თუმცა დავიდი ხომ ამისთვის არ დასჯილა? იგი ნამდვილად იმსახურებს იმას, რაც მიიღო".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვაი, მუხლი...
## ფილიპო ინძაგი ძველ მეგობრებს საოპერაციოში დამალა

**„მილანის"** საკვირაო მოგებამ ვერონულ „კიევოსთან" ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფაქტია, არბიტრმა გრაციანო ჩეზარიმ მასპინძლები უსაფუძვლო, მოგონილი პენალტით გადაარჩინა, „შავ-წითელთათვის" კი უმთავრესი და საწუხარი 62-ე წუთზე მოხდა. ჩინებულ ფორმაში მყოფი ფილიპო ინძაგი მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას მეკარე კრისტიანო ლუპატელის შესკდა. პიპო მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს და ვინაიდან კარლო ანჩელოტის შეცვლათა ლიმიტი ამოწურული ჰქონდა, „მილანმა" მატჩი ათი ფეხბურთელით ჩაამთავრა.

ნამატჩევს „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაშავებული ფორვარდი ვარეზეს სამედიცინო კლინიკა „ჩერკოლოში" გაგზავნა და პროფესორ კერუბინოს გაასინჯა. პასუხი ასეთი ყოფილა: „მას მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს. ახლა ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სულ ცოტა ერთი თვე ბურთს ვერ გაეკარება".

ინძაგის ტრავმამ „მილანი", ცხადია, დააღონა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც, მოგეხსენებათ, იმავდროულად კლუბის მფლობელიცაა, ფილიპო სატელეფონო ზარით გაამხნევა. უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ კი განაცხადა: „ვიცი, პიპოს ძალიან სურდა თავის ყოფილ კლუბ „იუვენტუსთან" თამაში („მილანი" ტურინელებს კვირას „სან სიროზე" ეთამაშება). თუ გოლი გავიტანე, აუცილებლად მას მივუძღვნი".

ახლა თავად ინძაგის მოვუსმინოთ: „ძალიან ვწუხვარ, ბრწყინვალე ფორმაში ვიყავი. ლუპატელის არაფერში ვადანაშაულებ, ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი გახლდათ. დაცემისას მუხლში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. „იუვენტუსთან" თამაში მწყუროდა, მაგრამ რას ვიზამ". აქვე აღვნიშნოთ, რომ „კიევოსთან" მატჩში დაშავდა ბრაზილიელი სერჟინიოც. განაპირა ნახევარმცველი, „მილანს" ერთი თვით დააკლდება.

კარლო ანჩელოტის კი საფიქრალი მოსძალებია — უეფას თასზე „სპორტინგთან" საპასუხო მატჩში ვინ შეუწყვილოს შევჩენკოს. ადრე დაშავებულ ესპანელ ხოსე მარის და ნიგერიელ მოჰამედ ალიუს ახლა ინძაგიც მიემატა. მარკო სიმონეს ევროთასებზე თამაშის უფლება იანვრამდე არ აქვს, რადგან სეზონი ფრანგულ „მონაკოში" დაიწყო.

ანჩელოტის თადარიგში ორი თავდამსხმელი დარჩა — ყოფილი ალავესელი ხავი მორენო და ყმაწვილი ბელარუსი ვიტალი კუტუზოვი. არაა გამორიცხული, „მილანმა" „სპორტინგთან" ერთი ფორვარდითაც ითამაშოს.

გუშინ კი ოფიციალურად დადასტურდა — ფილიპო ინძაგი მარცხენა მუხლზე ოპერაციას დღეს დილით რომში გაიკეთებს, მინდორს კი სამ თვეში დაუბრუნდება.

**გიორგი გეგეჭკორი ბუზაძე**



ფილიპო ინძაგი: დაცემისას მუხლში საშინელი ტკივილი ვიგრძენი

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგული** „მარსელის" მცველმა ფრანკ ლებეფმა ქვეყნის ლიგის თასის მატჩი „მონპელიესთან" გამოტოვა, რადგან სახლის კიბიდან ჩამოგორდა და ზურგი დაიჟეჟა, თუმცა საშიში არაფერი ყოფილა და ფეხბურთელმაც ვარჯიში გუშინდლიდან განაახლა.

**კოსტა რიკის ნაკრებმა წლეულს დიდი პროგრესი განიცადა — ფიფას რეიტინგში მესამოცე ადგილიდან ოცდამეთერთმეტეზე აინაცვლა, რის გამოც ფიფას სპეციალური პრიზი დაიმსახურა. როგორც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კლემენსიო კონსეხომ განაცხადა, ეს დიდი პატივია და კოსტა რიკაში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. დაჯილდოების ცერემონიალი დეკემბერში შვეიცარიულ ციურიხში გაიმართება.**

**ინგლისური** „ლიდსის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ კლუბი აღარ აპირებს „ფეიენოორდის" ავსტრალიელი ნახევარმცველის ბრეტ ემერტონის შეძენას. არადა, „ლიდსის" პრეზიდენტი პიტერ რიდსდეილი ტრანსფერის დეტალების შესათანხმებლად თითქოს როტერდამშიც უნდა გადაფრენილიყო.

**პორტუგალიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ვარზიმის" მთავარმა მწვრთნელმა როჟერიუ მონკალვიშმა თანამდებობა დატოვა. პორტუგალიის პირველ დივიზიონში ეს უკვე მესამე მწვრთნელია, რომელმაც ამ სეზონში სამუშაო დაკარგა.**

**ბულგარეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნა. ორი თვის წინ გათავისუფლებულ სტოიჩო მლადენოვის ნაცვლად ამ პოსტზე პლამენ მარკოვი იმუშავებს. მარკოვი, რომელსაც ფრანგულ „მეცში" უთამაშია, აქამდე ბულგარეთის პირველი დივიზიონის „ვიდიმაროვსკის", სოფიის ცსკა-სა და მშობლიური ქალაქის, სევლიევოს გუნდს წვრთნიდა. ახალი თავკაცი ჰყავს ახალგაზრდულ ნაკრებსაც — სტოიან კოჩევი.

**ჰოლანდიური „ვიტესის" მწვრთნელის მოვალეობას 38 წლის ედვარდ სტარინგი შეასრულებს, რომელიც 1988-1998 წლებში კლუბის მოთამაშე იყო. სტარინგი გუნდს ზამთრის არდადეგებამდე გაუძღვება, სანამ „აიაქსში" წასული რონალდ კუმანის შემცვლელს მოძებნიან.**

**ინგლისურ** „საუთჰემპტონს" პირველი დივიზიონის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" განათხოვრებული გერმანელი თავდამსხმელი უვე როსლერი დაუბრუნდა. როსლერმა „ვესტ ბრომვიჩში" სულ 5 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლის გატანა მოახერხა. თუმცა მას შემდეგ, რაც ვესტბრომვიჩელებმა „სანდერლენდიდან" ერთ მილიონ გირვანქად დანი დიჩიო შეიძინეს, როსლერი ზედმეტი აღმოჩნდა და კვლავ „საუთჰემპტონში" დაბრუნდა, სადაც თავდასხმის ხაზში დიდი კონკურენციის გამო ძირითადში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება.

**იტალიური სერია D-ს „კაზარანოს" სათავეში არგენტინელი ფეხბურთის ლეგენდა მარიო კემპესი ჩაუდგა. კემპესს აქამდე ნაკრებებთან მუშაობის გამოცდილება უფრო ჰქონდა. მას ვენესუელის, ბოლივიის, ავსტრიის და ალბანეთის ნაკრებებში უმუშავია. არგენტინელის კონტრაქტი 2002 წლის ივნისამდეა. თავად კემპესის თქმით, „კაზარანოსთან" მუშაობის უმთავრესი მოტივი ფულია.**

**ესპანური** „რეალის" ინგლისელმა ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა შეგახსენებთ, ესპანეთის სამეფო თასზე „ლანსაროტესთან" ტრავმა მიიღო. ექიმების განაჩენი ასეთია — ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი კიდევ 2-3 კვირა ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.

**იტალიური „იუვენტუსის" აქციების უმეტესი წილის მფლობელის, ჰოლდინგური კომპანია IFI-ს განცხადებით, დეკემბერში აქციების გარკვეულ ნაწილს მილანის საფონდო ბირჟაზე გაიტანს. იტალიურ კლუბთაგან დღესდღეობით მხოლოდ „რომასა" და „ლაციოს" აქციებია გატანილი ბირჟაზე.**

**ფრანგული** „მარსელის" მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი გუშინ საავადმყოფოდან გამოეწერა. როგორც მისი ახლობლები იტყობინებიან, ივიჩი გულმა შეაწუხა, თუმცა მარსელურმა კლუბმა ეს ცნობა უარყო და განაცხადა, რომ 68 წლის ხორვატი სპეციალისტი უბრალოდ შაბათს ვარჯიშისას გადაიღალა. „ახლა მისთვის დასვენება აუცილებელია. მაგრამ ოთხშაბათს კვლავ დაუბრუნდება გუნდს" — განაცხადა ივიჩის თანაშემწემ, ზორან ვუიოვიჩმა შაბათს „ოლიმპიკ" — მონპელიეს" მატჩის შემდეგ. ივიჩს გული დიდი ხანია, აწუხებს. შეგახსენებთ, რომ შარშან, ბელგიური „სტანდარდის" მწვრთნელობისას, მას ამის გამო სეზონის დასაწყისში კლუბის მიტოვებაც მოუხდა. სუსტი ჯანმრთელობის გამო ხორვატი არც „ოლიმპიკის" მწვრთნელობას აპირებდა, თუმცა ბერნარ ტაპიმ ბოლოს და ბოლოს დაიყოლია. წლეულს ივიჩი მესამე მწვრთნელია, რომელიც საავადმყოფოში მოხვდა. მისი წინამორბედნი კი ინგლისური „ლივერპულის" მესაჭე ჟერარ ულიე და ფრანგული „ოსერის" დამრიგებელი გი რუ იყვნენ.

### საბერძნეთი

**მე-8 ტური: ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 2:2; ეგალეო — პანიონიოსი 0:1; იონიკოსი — ქსანთი 1:1; პაოკ — ეთნიკოსი 2:1; აკრატიტოსი — არისი 0:1; პანაჰაიკი — აეკ 0:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 8 | 7 | 0 | 1 | 15:3 | 21 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 5 | 3 | 0 | 22:9 | 18 |
| არისი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:6 | 15 |
| პანათინაიკოსი | 8 | 3 | 3 | 2 | 20:10 | 12 |
| პაოკ | 8 | 3 | 3 | 2 | 12:10 | 12 |
| ქსანთი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| ირაკლისი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:10 | 11 |
| პანიონიოსი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:12 | 10 |
| ოფი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| აკრატიტოსი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| ეთნიკოსი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 |
| იონიკოსი | 8 | 0 | 5 | 3 | 7:14 | 5 |
| პანაჰაიკი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:21 | 4 |
| ეგალეო | 8 | 0 | 2 | 6 | 9:21 | 2 |

### ჩეხეთი

**მე-16 ტური: დრნოვიცე — სლავია 2:2; სპარტა — ბლშანი 4:0; ცესკე ბუდეიოვიცე — ბანიკი 1:0; პრჟიბრამი — ბრნო 1:2; ოპავა — ბოჰემიანსი 0:1; ჰრადეც კრალოვე — იაბლონეცი 2:2; სიგმა — ტეპლიცე 0:2; ლიბერეცი — სინოტი 4:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 13 | 0 | 3 | 37:9 | 39 |
| ცესკე ბუდეიოვიცე | 16 | 12 | 1 | 3 | 26:11 | 37 |
| ბოჰემიანსი | 16 | 11 | 3 | 2 | 27:11 | 36 |
| ლიბერეცი | 16 | 9 | 5 | 2 | 31:15 | 32 |
| ბანიკი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:18 | 25 |
| სლავია | 16 | 7 | 3 | 6 | 27:23 | 24 |
| ბრნო | 16 | 6 | 4 | 6 | 18:27 | 22 |
| იაბლონეცი | 16 | 5 | 6 | 5 | 14:15 | 21 |
| ჰრადეც კრალოვე | 16 | 6 | 2 | 8 | 19:29 | 20 |
| ტეპლიცე | 16 | 5 | 3 | 8 | 17:22 | 18 |
| სიგმა | 16 | 4 | 6 | 6 | 13:20 | 18 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 4 | 8 | 20:21 | 16 |
| სინოტი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:23 | 16 |
| პრჟიბრამი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:24 | 15 |
| ბლშანი | 16 | 4 | 1 | 11 | 19:32 | 13 |
| ოპავა | 16 | 2 | 1 | 13 | 12:32 | 7 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევჩენკო საუკეთესოა



**დიდი** გულთმისნობა არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ უკრაინის 2001 წლის საუკეთესო მოთამაშედ „მილანის“ ფორვარდ ანდრეი შევჩენკოს დაასახელებდნენ. ეს აღიარება ფეხბურთელმა უკვე ზედიზედ მესამედ, ჯამში კი მეოთხედ მოიპოვა.

გაზეთი „უკრაინული ფეხბურთი“ წლეულს 600 რესპონდენტს დაეკითხა. აქედან 200 ჟურნალისტი იყო, 200 ფეხბურთის სპეციალისტი და ამდენივე გულშემატკივარი. მათ სამი საუკეთესო მოთამაშე უნდა აერჩიათ. პირველი სამ ქულას მიითვლიდა, ხოლო მესამე — ერთს. შევჩენკომ 1593 ქულა დააგროვა: 511 გამოკითხულმა მას პირველი ადგილი მიაკუთვნა, 25-მა — მეორე, ხოლო 10-მა მესამე.

მეორე ადგილი „შახტარის“ თავდამსხმელ გენადი ზუბოვს ერგო — მან 848 ქულა მოაგროვა. მესამე კი 224 ქულით კიევის დინამოს ფორვარდი ალექსანდრ მელაშჩენკო იყო. ხუთეულში საერთოდ ვერ მოხვდა 1998 წლის გამარჯვებული სერგეი რებროვი. ტოტენჰემელზე მეტი ხმები შახტარელმა ანდრეი ვორობეიმ (179 ქულა) და დონეცკის მეტალურგელმა სერგეი შიშჩენკომ (141 ქულა) მოიპოვეს.

**ნიკა ჟუჟუნაძე**



# NANDROLONE ამოიღეთ!
## მოუწოდებს პროკურორი

**მას შემდეგ**, რაც ფეხბურთელთა სისხლში სულ უფრო ხშირად პოულობენ აკრძალული პრეპარატების კვალს, ეჭვი საკვებ პროდუქტზე აიღეს. ხშირად ფეხბურთელმა ალბათ, თავადაც არ იციან, რას მიითმევენ. მაგალითად, მავანმა მოთამაშემ შეიძლება იყიდოს საკვები, რომელმაც დოპინგ-ტესტზე მის სისხლში ნანდროლინის შემცველობა აჩვენოს. მერე მიდი და სდიე, ამტკიცე სიმართლე რამდენიც გინდა, ყურს აღარავინ დაგიგდებს.

როგორც ესპანური პრესა იუწყება, ტურინელმა პროკურორმა რაფაელ გუარინიოლომ თხოვნით მიმართა ქვეყნის მთავრობას, სასწრაფოდ ამოიღოს გაყიდვიდან იმ სახის პროდუქტები, რომლებიც ამინომჟავას შეიცავენ. პროკურორი არ გამორიცხავს, რომ ხოსეპ გვარდიოლამ ზუსტად ეს ამინომჟავიანი საკვები მიირთვა. სწორედ ასეთი პროდუქტი აჩენს შემდგომ სისხლში ნანდროლინის მეტაბოლიტების მაღალკონცენტრაციასო, დაასკვნა რაფაელ გუარინიოლომ. პროკურორმა ბრძანა, დროა, დოპინგ-სკანდალების გამომწვევი მიზეზები გამოვიძიოთ, რადგან ამან შეიძლება კიდევ რომელიმე ფეხბურთელი იმსხვერპლოსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ორწლიანი შესვენების შემდეგ ისევ თბილისშია უეფას ინსტრუქტორი, იტალიელი ფრანკო ფერარი. იგი მწვრთნელთა მომზადების სკოლებს კურირებს და სწორედ ამ მიზნით ეწვია მეორედ საქართველოს.

როგორც იცით, 3 დეკემბერს თბილისში B კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამა დაიწყო. ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის მსურველთ ჩვენში მწვრთნელთა მომზადების ცენტრის დირექტორი გაიოზ დარსაძე ამზადებს საგამოცდოდ. გუშინ მეცადინეობას ფერარიც შეუერთდა და თავისი დიდი გამოცდილების მცირე ნაწილი გაუზიარა მსმენელებს.

თბილისში ოთხი დღით ჩამოსულმა იტალიელმა გუშინდელი დატვირთული, 8-საათიანი სამუშაო დღის შესვენებისას ჩვენთვისაც მოიცალა და თავაზიანად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

# ფერარი, რომელიც ფიატში ზის
## რატომ ეშინოდათ იტალიელებს 50 წლით უმცროსი ქართველების



სწავლა სიკვდიმდე შენია: შეაგონებს ფრანკო ფერარი ქართველ მწვრთნელებს

— ფეხბურთი მთელი ჩემი ცხოვრებაა. რომ დავფიქრდე, ალბათ, ვერც კი გავიხსენებ ისეთ დღეს, როცა ფეხბურთით არ მეცხოვროს.

„ჯენოას“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ვარ, 28 წლამდე სწორედ ამ კლუბში ვთამაშობდი მარცხენა მცველად. მერე „პარმაში“ გავაგრძელე თამაში. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კი მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა დავამთავრე და ოთხი წელი სერია C-ში ვსაქმიანობდი, მერე კი უეფაში გადავედი სამუშაოდ და დღემდე სხვადასხვა ქვეყანაში მწვრთნელთა მომზადების სკოლებს ვკურირებ.

**— თქვენ ორი წლის წინაც ბრძანდებოდით საქართველოში და ქართველ მწვრთნელებთან გიმუშავიათ, დღეს თუ ხედავთ რაიმე ცვლილებას ამ დარგში?**

— ცვლილებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან პირველი დღეა, კვლავაც რომ შევხვდი თქვენს მწვრთნელებს და ამდენად დასკვნის გაკეთება გამიჭირდება, მაგრამ გეტყვით, რომ ორი წლის წინანდელი პროგრეს-კურსების შემდეგ ერთობ პოზიტიური შთაბეჭდილება დამრჩა. ქართველ მწვრთნელებს შესწევთ უნარი, დიდ წარმატებებს მიაღწიონ საერთაშორისო ფეხბურთში. სხვაგვარად ნუ გამიგებთ და მსოფლიოში საუკეთესო სამწვრთნელო სკოლა ჩემს სამშობლოში, იტალიაშია. შესაბამისად, იტალიელი სპეციალისტები საუკეთესონი არიან მსოფლიოში. თუ ქართველებს და იტალიელებს შევადარებთ, ბევრ მსგავსებას აღმოვაჩენთ — ტემპერამენტი, იუმორი, თუნდაც მენტალიტეტი...

**— ჰო, მაგრამ, ქართველი და იტალიელი მწვრთნელები აშკარად სხვადასხვა პოლუსზე იმყოფებიან.**

— ჩვენ მხოლოდ ის უპირატესობა გვაქვს, რომ ჩვენი სკოლა 50 წლისაა, თქვენ კი ახლა დგამთ პირველ ნაბიჯებს. იტალიაში ფეხბურთი პირველია. ჩვენში ასეთი გამოთქმაც არის, რომ 58 მილიონი იტალიელიდან ყველა მწვრთნელია. ასე რომ, სწავლა და სიყვარულია საჭირო და თქვენთანაც ყველაფერი რიგზე იქნება ამ მხრივ.

**— საქართველოს გარდა რომელი ქვეყნების მწვრთნელთა სკოლებს კურირებთ?**

— ევროპის ბევრ ქვეყანაში მიმუშავია. ის კი არა, კანადაში და აფრიკაშიც კი ჩამიტარებია სემინარები.

**— მათთან შედარებით რა დონეა ჩვენთან?**

— ისევ შედარებას მოვიყვან და გეტყვით, რომ სამწვრთნელო დარგში თქვენი ქვეყანა ბავშვივით პირველ ნაბიჯებს დგამს, ბავშვს კი გაზრდა და სწავლა სჭირდება. მოკლედ, დროის ამბავია, თორემ პოტენციალი უთუოდ არის.

**— საქართველოში როგორი მსმენელი გყავთ?**

— ჩვენ ერთი საერთო ენა გვაქვს, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია. ამ ენაზე საუბარი პირადად ჩემთვის გაცილებით სასიამოვნოა. ვგრძნობ, რომ ეს მათთვისაც მიმზიდველია.

**— სინიორ ფერარი, ალბათ, თვალყურს ადევნებდით საქართველო — იტალიის ორმატჩიან დაპირისპირებას, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ. თუ ეტყობოდა მწვრთნელის ხელი ჩვენს ნაკრებს?**

თანაქალაქელთა წაფორხილებით ჩინ[illegible]ად ისარგებლა „ულქერმა“, რომ[illegible]ც ბურსაში „რენო-ოიაქს“ სტუმრობდა. ბურსელები ამ მატჩამდე მეხუთე ადგილზე იყვნენ და დექალაქელებს დიდ გულზე დაუხვდნენ. მასპინძლებს ამ მატჩის მოგების დიდი სურვილი კი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ამის ხარჯზე მოქმედ ჩემპიონთან რომ ვერას გახდებიან, ბურსელები პირველი ნახევრის შემდეგდა მიხვდნენ, როცა სტამბოლელები 10 ქულით დაწინაურდნენ, ბურსელებში კი კაცი არ მოიძებნებოდა ლეგიონერების, კევინ ტომპსონისა და ჯეიმზ ბლექველის გარდა, ულქერელთა კალათის დალაშქვრას რომ მოახერხებდა.

სტუმრებმა თავიდანვე კარგად დაიწყეს და მათი ამერიკელი ლეგიონერის, კვადრე ლოლისის წყალობით პირველი მეოთხედი 22:17 მოიგეს. ამერიკელი მეტოქის ფარზე გაბატონდა და თანამემამულე შავკანიან ბად ელისთან ერთად ქულების მოხვეჭა არ უჭირდა. მეორე მეოთხედში, როცა სამიზნე ჰარუნ ერდენაიმაც გაისწორა, ბურსელები 15 ქულით ჩამორჩნენ, თუმცა ეულად მებრძოლი ტომპსონის ძალისხმევით სხვაობა პირველი ნახევრის ბოლოსკენ 7 ქულამდე შემცირდა. სწორედ ამ დროს უხმო მოედანზე სტუმართა მწვრთნელმა მურათ დიდინმა ქართველ ცენტრს. ზაზა ფაჩულიამ ხელი შეუწყო ლოლისს და ელისს სტუმართა ფარის საბოლოოდ დაპყრობაში და მეორე ნახევრის წინ „ულქერი“ 44:34 იგებდა.

თამაშის განახლებისთანავე ოიაქელთა შორის ყველაზე აქტიური კევინ ტომპსონი ქართველს აედევნა, ფაჩულია კი თავის მხრივ თავდაცვისას გიურეი კანანს, შემდეგ კი რასიმ ბაშაქს მეურვეობდა. პირველი, მას შემდეგ, რაც ბურთთან კონტაქტი პრობლემად ექცა, მწვრთნელმა მოედანს განარიდა, ხოლო ბაშაქის ანგარიშზე საბოლოოდ 7 ქულა დაგროვდა.

სტამბოლელები ოდნავ მოეშვნენ, რითაც ბურსელებს საშუალება მისცეს, 8 ქულით მიახლოვებოდნენ. ტომპსონს ბლექველმა და პეტარ მეილსმაც მიბაძეს და ქულების დაგროვებას მიჰყვეს ხელი, რითაც ბურსელებს იმედი ჩაუსახეს.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ მასპინძლები 55:64 აგებდნენ, თუმც იმედი კიდევ შერჩენოდათ, მაგრამ რაც ჰარუნ ერდენაიმ აიშვა და ლოლისმაც ძველ საქმეს მიჰყო ხელი, ანგარიშში სხვაობამ კვლავ 15-ქულიან ზღვარს გადააჭარბა და გამარჯვებულის ვინაობაც თამაშის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე გაირკვა. ამ დროს ფაჩულია მოედანზე აღარ იმყოფებოდა, ის მატჩის ბოლო წუთზე დაბრუნდა და თავისი მონაგარი 11 ქულამდე გაზარდა. „ულქერმა“ კი საბოლოოდ 80:68 გაიმარჯვა და ახლა იგი ჩაუდგა ცხრილს სათავეში.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 6 | 5 | 1 | 530:472 | 11 |
| ეფესი | 6 | 5 | 1 | 508:420 | 11 |
| დარუშაფაკა | 6 | 5 | 1 | 472:426 | 11 |
| ტელეკომი | 6 | 4 | 2 | 508:467 | 10 |
| ქარშიაკა | 6 | 4 | 2 | 499:486 | 10 |
| ოიაქი | 6 | 3 | 3 | 466:433 | 9 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 3 | 3 | 500:480 | 9 |
| ითუ | 6 | 2 | 4 | 442:492 | 8 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 4 | 418:447 | 8 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 5 | 451:529 | 7 |
| თედ კოლეჯი | 6 | 1 | 5 | 457:455 | 7 |
| ბუიუქ კოლეჯი | 6 | 1 | 5 | 399:448 | 7 |

## საფრანგეთი

VIII ტური

ნანსი — შალონი 67:58, მონპელიე — ლე ავრი 87:65, გრაველინი — შოლე 98:88, ანტიბი — რასინგი 85:77, ბურგი — ტულონი 80:83, დიჟონი — ლიმოჟი 90:73, ვილერბანი — პო ორტეზი 89:81, სტრასბური — ლე მანი 58:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 8 | 7 | 1 | 653:590 | 15 |
| ვილერბანი | 8 | 6 | 2 | 680:606 | 14 |
| ნანსი | 8 | 6 | 2 | 694:639 | 14 |
| შალონი | 8 | 6 | 2 | 570:539 | 14 |
| გრაველინი | 8 | 6 | 2 | 706:677 | 14 |
| ლე მანი | 8 | 5 | 3 | 690:648 | 13 |
| შოლე | 8 | 5 | 3 | 652:639 | 13 |
| სტრასბური | 8 | 4 | 4 | 670:653 | 12 |
| დიჟონი | 8 | 4 | 4 | 636:628 | 12 |
| რასინგი | 8 | 3 | 5 | 627:628 | 11 |
| მონპელიე | 8 | 3 | 5 | 602:626 | 11 |
| ანტიბი | 8 | 3 | 5 | 604:633 | 11 |
| ლიმოჟი | 8 | 3 | 5 | 623:665 | 11 |
| ტულონი | 8 | 2 | 6 | 636:706 | 10 |
| ლე ავრი | 8 | 1 | 7 | 572:651 | 9 |
| ბურგი | 8 | 0 | 8 | 592:681 | 8 |

## ესპანეთი

X ტური

კანარიასი — ფორუმი 85:66, ტაუ — ესტუდიანტესი 84:56, ხირონი — გრანადა 62:72, ფუენლაბრადა — ლეჩე 96:78, ლეიდა — კახა სან ფერნანდო 52:76, კასერესი — ბარსელონა 89:103, კანტაბრია — პამესა 70:72, რეალი — ხირონა 88:73, ხუვენტუდი — უნიკახა 84:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 10 | 9 | 1 | 806:662 | 19 |
| რეალი | 10 | 9 | 1 | 837:743 | 19 |
| ბარსელონა | 10 | 8 | 2 | 903:827 | 18 |
| ფუენლაბრადა | 10 | 7 | 3 | 807:784 | 17 |
| ტაუ | 10 | 7 | 3 | 783:668 | 17 |
| პამესა | 10 | 6 | 4 | 789:778 | 16 |
| ხუვენტუდი | 10 | 5 | 5 | 849:834 | 15 |
| სან ფერნანდო | 10 | 5 | 5 | 764:760 | 15 |
| ფორუმი | 10 | 5 | 5 | 757:754 | 15 |
| ლეიდა | 10 | 5 | 5 | 783:827 | 15 |
| ლეჩე | 10 | 5 | 5 | 763:814 | 15 |
| კანარიასი | 10 | 4 | 6 | 744:743 | 14 |
| გრანადა | 10 | 4 | 6 | 828:850 | 14 |
| ესტუდიანტესი | 10 | 3 | 7 | 734:749 | 13 |
| ხირონა | 10 | 7 | 3 | 758:825 | 13 |
| კასერესი | 10 | 3 | 7 | 811:925 | 13 |
| ხიხონი | 10 | 1 | 9 | 770:832 | 11 |
| კანტაბრია | 10 | 1 | 9 | 747:858 | 11 |

## საბერძნეთი

IX ტური

დაფნი — ირაკლისი 64:72, ირაკლიონი — იონიკოსი 97:99, ოლიმპიაკოსი — დრამა 120:73, პანიონიოსი — მარუსი 86:80, არისი — ნიარ ისტი 93:72, აეკ — პაოკ 84:77, პერისტერი — პანათინაიკოსი 80:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 9 | 9 | 0 | 801:663 | 18 |
| ოლიმპიაკოსი | 9 | 8 | 1 | 822:641 | 17 |
| ირაკლისი | 9 | 7 | 2 | 683:622 | 16 |
| პანათინაიკოსი | 9 | 7 | 2 | 757:701 | 16 |
| პანიონიოსი | 9 | 6 | 3 | 740:686 | 15 |
| ირაკლიონი | 9 | 4 | 5 | 754:765 | 13 |
| პაოკ | 9 | 4 | 5 | 734:742 | 13 |
| მარუსი | 9 | 4 | 5 | 730:722 | 13 |
| პერისტერი | 9 | 3 | 6 | 678:687 | 12 |
| დრამა | 9 | 3 | 6 | 702:834 | 12 |
| ნიარ ისტი | 9 | 2 | 7 | 661:736 | 11 |
| დაფნი | 9 | 2 | 7 | 670:769 | 11 |
| არისი | 9 | 2 | 7 | 694:762 | 11 |
| იონიკოსი | 9 | 2 | 7 | 669:765 | 11 |

## იტალია

XII ტური

ბენეტონი — კინდერი 82:80, სკიპერი — იმოლა 84:83, სკავოლინი — ფაბრიანო 90:76, რომა — ტრიესტი 77:59, სნაიდერო — სიენა 92:86, მიულერი — აველინო 91:83, ვიოლა — ვარეზე 84:89, ბიელა — როზეტო 90:71, ლივორნო — კანტუ 87:96

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 11 | 11 | 0 | 1040:839 | 22 |
| კანტუ | 12 | 9 | 3 | 954:914 | 21 |
| კინდერი | 11 | 9 | 2 | 932:810 | 20 |
| სიენა | 11 | 9 | 2 | 936:814 | 20 |
| სკიპერი | 11 | 9 | 2 | 942:848 | 20 |
| სკავოლინი | 11 | 7 | 4 | 910:877 | 18 |
| ტრიესტი | 11 | 7 | 4 | 878:870 | 18 |
| ფაბრიანო | 12 | 6 | 6 | 949:1016 | 18 |
| სნაიდერო | 12 | 5 | 7 | 1027:1017 | 17 |
| მიულერი | 12 | 5 | 7 | 967:973 | 17 |
| ბიელა | 12 | 5 | 7 | 983:1052 | 17 |
| ვარეზე | 12 | 4 | 8 | 1045:1060 | 16 |
| იმოლა | 12 | 4 | 8 | 927:980 | 16 |
| რომა | 11 | 4 | 7 | 834:835 | 15 |
| აველინო | 11 | 4 | 7 | 892:936 | 15 |
| როზეტო | 11 | 4 | 7 | 903:979 | 15 |
| ადეკო | 11 | 3 | 8 | 865:912 | 14 |
| ლივორნო | 11 | 3 | 8 | 866:942 | 14 |
| ვიოლა | 11 | 0 | 11 | 807:1023 | 11 |


**იყიდება**

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250მ².
დამხმარე ფართი 80მ²
პირველ სართულზე.



**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7.
კინოთეატრ "ცოლიაოსთან"

# 2001 საჩოგბურთო ეპილოგი



ლეიტონ ჰიუიტი

**დევისის თასმა** ოფიციალურად დაასრულა საჩოგბურთო სეზონი. უმაღლესი დონის მოთამაშეებს ავსტრალიის ღია პირველობამდე შვებულება აქვთ. ამ ხნის განმავლობაში ისინი ძირითადად ტრავმებს მოიშუშებენ და ახალი სეზონისთვის მოემზადებიან. მანამდე კი იხილეთ ორივე სქესის მიმდინარე მაჩვენებლები ჩოგბურთის რანგთა ტაბელში, რომელსაც ოზი და იანკი — ლეიტონ ჰიუიტი და ლინდსი დევენპორტი ხელმძღვანელობენ. ორივემ ეს საპატიო ადგილი ზუსტად სეზონის ბოლოს დაისაკუთრა. ჩვენ საუკეთესო ოცეულებს გთავაზობთ, სადაც უცნობ გვარებს ვერ იხილავთ.

## კლასიფიკაცია

| ქალები | |
|---|---|
| 1. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4902 |
| 2. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 4892 |
| 3. ვინუს უილიამსი (აშშ) | 4128 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 3944 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3265 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 3004 |
| 7. ჟიუსტინ ენენი (ბელგია) | 2989 |
| 8. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 2780 |
| 9. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2765 |
| 10. მონიკა სელეში (აშშ) | 2306 |
| 11. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 2056 |
| 12. მეგან შონესი (აშშ) | 1833 |
| 13. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1754 |
| 14. სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1738 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1576 |
| 16. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1571 |
| 17. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1548 |
| 18. ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1495 |
| 19. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1474 |
| 20. იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) | 1166 |

| ჩემპიონთა რბოლა 2001 (მხოლოდ წლევანდელი შედეგები) მამაკაცები | |
|---|---|
| 1. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 873 |
| 2. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 771 |
| 3. ანდრე აგასი (აშშ) | 704 |
| 4. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 618 |
| 5. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 608 |
| 6. სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 558 |
| 7. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 557 |
| 8. ტომი ჰაასი (გერმანია) | 457 |
| 9. ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) | 420 |
| 10. პიტ სამპრასი (აშშ) | 388 |
| 11. მარატ საფინი (რუსეთი) | 384 |
| 12. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 349 |
| 13. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 342 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 314 |
| 15. ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 305 |
| 16. ენდი როდიკი (აშშ) | 303 |
| 17. არნო კლემანი (საფრანგეთი) | 295 |
| 18. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 275 |
| 19. კარლოს მოია (ესპანეთი) | 262 |
| 20. ალბერტ პორტასი (ესპანეთი) | 244 |



# ძალიან ცუდი განენზე ჩემს ცოლს თავი!

**ვაჟ** ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფური ბრძოლის დასრულებამდე ჯერ კიდევ ორი ტური დარჩა, თუმცა უკვე გაირკვა ორი მეოთხედფინალისტის ვინაობა: სლოვენიის „პივოვარნამ“ და უნგრეთის „ფოტექსმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩის მოგებით გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა ვადამდე გაინაღდეს.

ისე, სლოვენიელ მელუდეებს ერთობ გაუჭირდათ ჩეხეთის ჩემპიონთან შეხვედრაში. „კარვინამ“ საკუთარ მოედანზე გამორჩეული აღმაფრენით ითამაშა — ტაიმის სოლიდური უპირატესობით (18:14) მოგების შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სტუმრები თამაშის გადარჩენას შეძლებდნენ, მაგრამ ლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა ბოლომდე იბრძოლა და უმთავრესად თავისი მეგოლის, რენატო ვუგრინეცის აქტიურობის წყალობით, რომელმაც რვაჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, მოახერხა არა მარტო ქულების, არამედ საკუთარი პრესტიჟის გადარჩენაც. მართალია, „ფოტექსს“ შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ მაინც დიდი ბრძოლა გადახდა საფრანგეთის ჩემპიონის დასამარცხებლად, თანაც მის მოედანზე შამბერში. მასპინძელთა წაგების უმთავრესი მიზეზი, ალბათ, გამოუცდელობაა.

სენსაციური მარცხი იწვნია ლიგის ჩემპიონმა „პორტლენდ სან ანტონიომ“, რომელიც ვერაფერს გახდა სტუმრად კოლდინგში დანიის ჩემპიონთან. ესპანელებს ვერც მათი ერთ-ერთი ბომბარდირის ალბერტო მარტინის შედეგიანობამ (10) უშველა. ამავე ჯგუფში სკანდალური ფაქტი მოხდა — ლისაბონში ადგილობრივ „სპორტინგსა“ და იუგოსლავიის „ლოვჩენს“ შორის შეხვედრა მეხუთე წუთზე შეწყდა ტრიბუნებზე ამტყდარი აყალმაყალის გამო, რაშიც სტუმარი ხელბურთელებიც ჩაებნენ. მიზეზი გახდა ადგილობრივ გულშემატკივართა აგრესიულობა, რომლებმაც იუგოსლავიური კლუბის ხელმძღვანელობასა და მოთამაშეთა მეუღლეებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

### ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა

ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

A ჯგუფი: კოლდინგი (დანია) — პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 27:26; სპორტინგი (პორტუგალია) — ლოვჩენი (იუგოსლავია) ჩაიშალა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 2 | 1 | 1 | 118:105 | 5 |
| კოლდინგი | 2 | 1 | 1 | 98:96 | 5 |
| ლოვჩენი | 1 | 0 | 2 | 68:70 | 2 |
| სპორტინგი | 1 | 0 | 2 | 72:85 | 2 |

B ჯგუფი: რედბერგსლიდსი (შვედეთი) — ჯამბო (ხორვატია) 23:19; ჰაპოელი (ისრაელი) — სანდფიორდი (ნორვეგია) 25:34

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჯამბო | 3 | 0 | 1 | 103:92 | 6 |
| რედბერგსლიდსი | 3 | 0 | 1 | 100:97 | 6 |
| სანდფიორდი | 2 | 0 | 2 | 114:97 | 4 |
| ჰაპოელი | 0 | 0 | 4 | 98:129 | 0 |

C ჯგუფი: ადემარი (ესპანეთი) — ცსკა (რუსეთი) 34:24; კარვინა (ჩეხეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 31:32

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 4 | 0 | 0 | 118:103 | 8 |
| ადემარი | 2 | 0 | 2 | 115:104 | 4 |
| კარვინა | 2 | 0 | 2 | 114:115 | 4 |
| ცსკა | 0 | 0 | 4 | 97:122 | 0 |

D ჯგუფი: შამბერი (საფრანგეთი) — ფოტექსი (უნგრეთი) 26:28; ვარდარი (მაკედონია) — მაგდებურგი (გერმანია) 27:27

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოტექსი | 4 | 0 | 0 | 108:83 | 8 |
| მაგდებურგი | 1 | 2 | 1 | 106:96 | 4 |
| შამბერი | 1 | 1 | 2 | 96:111 | 3 |
| ვარდარი | 0 | 1 | 3 | 98:118 | 1 |

### საქართველოს მე-12 ჩემპიონატი ვაჟები

**საქართველოს** ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გრძელდება ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე.

არც გუშინდელ შეხვედრებს მოუტანია მოულოდნელი შედეგები — სამივე ფავორიტმა თავიანთ მონაგარს მორიგი სამ-სამი ქულა მიუმატა. თუმცა არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდ „მამულს“ პირველი ტურის მსგავსად, ამჯერადაც მედგარი ბრძოლა გაუმართა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის „მართვემ“ და მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოუცდელობის გამო დამარცხდა.

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „სტუ-შევარდენმა“ ზედიზედ მეშვიდე და კვლავ იოლი მოგება მიითვალა. უკვე რამდენჯერ გვითქვამს, რომ ჩვენს საუკეთესო კლუბს სათანადო წინააღმდეგობას ვერავინ უწევს.

4 დეკემბერი

**სტუ-შევარდენი 37:28 გლდანი**

**თბილისი 46:30 ცერო**

**საუ-მამული 33:31 მართვე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 7 | 7 | 0 | 0 | 276:179 | 21 |
| საუ-მამული | 7 | 6 | 0 | 1 | 214:186 | 18 |
| თბილისი | 7 | 5 | 0 | 2 | 202:184 | 15 |
| მართვე | 7 | 2 | 0 | 5 | 190:212 | 6 |
| გლდანი | 7 | 1 | 0 | 6 | 145:203 | 3 |
| ცერო | 7 | 0 | 0 | 7 | 200:263 | 0 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# კარე! უკვე მერამდენე მეკარე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 დეკემბერი

**ლოს ანჯელესი 0:2 კალგარი (0:1 0:0 0:1)**
0:1 კოუენი 16(1), 0:2 იგინლა 58(23)

**კოლორადო 4:2 ოტავა (2:2 2:0 0:0)**
0:1 მაკიჩერნი 21(6), 0:2 ბონკი 15(6), 1:2 ტანგეი 17(5), 2:2 დრური 20(6), 3:2 დევრიზი 34(3), 4:2 ვრბატა 37(2)

**მონრეალი 2:3 ჩიკაგო (0:0 1:1 1:2)**
1:0 რივე 23(2), 1:1 ამონტე 40(10), 2:1 პერო 41(13), 2:2 ზაუსლი 46(5), 2:3 სალივანი 50(7)

ხანგრძლივმა კრიზისმა, რომელშიც ჩიკაგო და კალგარი ერთდროულად აღმოჩნდნენ, მათ წელვანდელ ამბიციებს, ცოტა არ იყოს, წყალი შეუყენა. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში ჩიკაგო იყო — „ქორებს“ 9 მატჩის განმავლობაში (+0=4-5) ვერ მოეგოთ, ამ უქმეებზე კი პირველი საშინაო მარცხიც იწვნიეს. არც მონრეალთან შეხვედრა უქადდა მათ თავიდან კარგს. თამაშის მსვლელობისას სტუმრები ორჯერ აგებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეზე გაცილებით აქტიურობდნენ. მაგრამ მიზანდასახულმა ჩიკაგოელებმა თავისას მაინც მიაღწიეს, გადამწყვეტი გოლი კი სტივ სალივანმა გაიტანა. შარშანდელს აქეთ, როცა ფორვარდმა პერსონალური რეკორდების წყალობით ხელსაყრელ კონტრაქტს გამოჰკრა ხელი, მან ყურადღება ოდნავ მოადუნა, მაგრამ მწვრთნელთა სამართლიანმა კრიტიკამ გამოაფხიზლა და ბოლო მატჩებში ისევ ჩ[illegible]ად ამოქმედდა. ამჯერად სალივანმა ჯერ პასებით მოამარაგა თანაგუნდელნი, მერე კი კარსუკან წამოწყებული რეიდი გამარჯვების გოლით დააგვირგვინა.

7 წარუმატებელი მატჩის შემდეგ (3 ფრე, 4 წაგება) კალგარიმაც მოიგო, თუმცა მწვრთნელი გრეგ ჯილბერტი მაინც უკმაყოფილო იყო. ლოს ანჯელესთან ხშირი ჯარიმების გამო გუნდს ხშირად უმცირესობაში უწევდა თამაში, ერთხელ კი მასპინძლებს ორი წ[illegible]თის განმავლობაში ორკაციანი უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ მეკარე რომან ტურეკმა (მე-4 შათაუტი) 31 დარტყმა მოიგერია, ხოლო ჯერომ იგინლამ ბოლო წუთებზე ცარიელ კარში გატანილი გოლის წყალობით თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

ასევე მეკარემ განაპირობა ოტავასა და კოლორადოს შეხვედრის შედეგი. ჩემპიონთა გოლკიპერი დევიდ ებიშერი რომ არა, კოლორადო პირვე[illegible] 5 წუთში ორზე გაცილებით მეტ შაიბას გაუშვებდა. შემდეგ „ეველანში“ გონს მოვიდა და საბოლოოდ ჯო საკიკის (4 პასი) და ადამ ფუტის (3 პასი) პლეიმეიკერობის ხარჯზე გაიმარჯვა. აღ[illegible]ნიშნავია, რომ საკიკისთვის ეს [illegible]-16 ოთხქულიანი მატჩია კარიერაში.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

კოლორადო — ოტავა. მეკარე დევიდ ებიშერი რომ არა, ჩემპიონი კოლორადო იქნებ შერცხვენილიყო კიდეც

## კვირის მოთამაშე

### მაიკ რიხტერი (რეინჯერსი)



**ასე** თუ გაგრძელდა, სეზონის MVP-ს წოდებაზე პრეტენდენტები მხოლოდ მეკარეებილა იქნებიან. თავად განსაჯეთ, კვირის ლაურეატი ზედიზედ მეხუთედ გოლკიპერი გახდა. თან თითქოს ტრადიციად იქცა — თითოეულმა მათგანმა სულ მცირე, ორი შათაუტი მაინც გააკეთა და გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა. რეინჯერსელმა მაიკ რიხტერმა ზედიზედ ორ მატჩში არ გააკარა შაიბა თავის კარს და ეს მაშინ, როცა მანამდე სამი წლის განმავლობაში ერთ მატჩშიც არ შეუნახავს კარი მშრალად. თუმცა სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ იგი ცუდად ასპარეზობდა. უბრალოდ, წლეულს და განსაკუთრებით წინა კვირაში მას მაქსიმალურად ეხმარებოდნენ პარტნიორები. ამიტომაც ნაკლები ჯაფა დაადგა რიხტერს, თუმცა, როგორც სჩვევია, საუცხოოდ გაისარჯა. მას შემდეგ, რაც მაიკმა კაროლინა (5:0) პირველად დატოვა ხახამშრალი, გუნდის კიდევ ერთმა ლიდერმა ერიკ ლინდროსმა განაცხადა, ყველა ზომას ვიხმართ, რომ რიხტერის მორიგმა შათაუტმა არ დაიგვიანოსო. და მართლაც: ეს კვირას, ტამპასთან (1:0) აღსრულდა. შათაუტები შათაუტებად, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ბუფალოსთან (2:2) მატჩი გახდა, როდესაც რიხტერმა 47 დარტყმა მოიგერია და მინიმუმ ათჯერ (!) აშკარა საგოლე მომენტი გააუვნებლა. ასე რომ, აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების მესვეურები თავს მშვიდად გრძნობენ, ვინაიდან პირველი მეკარის კანდიდატურა არანაირ ეჭვს არ იწვევს.

**საუკეთესო ექვსეული. 26 ნოემბერი — 2 დეკემბერი**

*მაიკ რიხტერი (რეინჯერსი, 1); სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი, 1) — ტომ პოტი (ედმონტონი, 1); პაველ დემიტრა (სენტ ლუისი, 1) — მაიკ იორკი (რეინჯერსი, 1) — ულფ დალინი (ვაშინგტონი, 1)*

ტესტ მატჩები

# შურისძიება ჯერაც საავადმყოფოშია

## ქართველებმა აფრიკელი დააწინაურეს



არგენტინა — ახალი ზელანდია. სტუმრებს სკოტ რობერტსონის ამ ლელომ გაამარჯვებინა

ბუენოს აირესი

**არგენტინა 20:24 ახალი ზელანდია**

**არგენტინა: 2 ლ: არბიზუ; 2 გ. კონტეპომი; 2 ს: კონტეპომი**
**ახალი ზელანდია: 2 ლ: ლომუ, რობერტსონი; 1 გ: მერთენსი; 4 ს: მერთენსი**

მეათე წელია, არგენტინა ამაოდ ცდილობს ახალი ზელანდიის დამარცხებას. ამ ხნის მანძილზე 11-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ათჯერ „შავებმა" აჯობეს სამხრეთამერიკელებს, ერთხელ კი მშვიდობიანად დაშორდნენ მეტოქეები. სარეკორდოდ ბევრი ქულით ახალზელანდიელებმა „პუმებს" 1997 წელს ველინგტონის „ატლეტიკ პარკში" სძლიეს. მაშინ „ოლ ბლექსმა" 93:8 დაამარცხა მეტოქე.

ბოლოს ახალი ზელანდია და არგენტინა კრაისტჩერჩში დაეჯახნენ ერთმანეთს. ამჯერად კი ტესტს არგენტინამ უმასპინძლა და ცოტა დააკლდა, ნავსი რომ გაეტეხა და პირველად დაემარცხებინა სახელიანი მოწინააღმდეგე.

„რივერ პლეიტის" საფეხბურთო სტადიონი პირთამდე შეევსოთ სალაღობო რაგბის საყურებლად მისულ ქომაგთ. 59 ათასი კაცი მთელი მატჩის განმავლობაში მხურვალედ გულშემატკივრობდა თავისიანებს და შიგადაშიგ „ოლ ბლექსის" გინებასაც ურევდა. არგენტინელი ფანების აგრესია კი მატჩამდე მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია.

საქმე ისაა, რომ ახალი ზელანდიის ნაკრებს ბუენოს აირესში სარაგბო კლუბი „ველინგტონიც" ჩაჰყვა. ველინგტონელები როსარიოში დაბანაკდნენ და სხვადასხვა გასართობებით შეიქციეს თავი. იქაური ძველბიჭობაც გაიცნეს, თუმცა ახალი მეგობრობა სავალალოდ დასრულდა. ვერ გეტყვით, რა ვერ გაიყვეს ახალზელანდიელმა მორაგბეებმა და არგენტინელებმა, მაგრამ დიდი დაკა-დაკა რომ ატყდა, ფაქტია. შედეგად ერთი არგენტინელი ჭაბუკი დღემდე უგონოდ საავადმყოფოში წევს, „ველინგტონის" კუნთმაგარი ჯეელები კი პოლიციის სატუსაღოში ჰყავდათ გამომწყვდეული.

ჰოდა, „პუმებმაც" დაიქადნეს, ჩვენი მომავლის დაჩაგვრას სტუმრებს არ შევარჩენთ და მოედანზე გავუსწორდებითო. მასპინძლებმა კარგად უწყოდნენ მეტოქის ძალა, მაგრამ შოტლანდიის და უელსის დამარცხების შემდეგ საკუთარი თავის დიდად ეიმედებოდათ და ახალი ზელანდიის ბეჭებზე გაკვრაც ამოიჩრეს გულში.

თამაშის დაწყებისთანავე მიტჩელის შეგირდებს „პუმების" შემოსევის მოგერიება მოუხდათ. არგენტინელთა ლიდერის, ფელიპე კონტეპომის მეოხებით მასპინძლები გონივრულად უტევდნენ და უკვე მე-20 წუთისთვის 7:3 ამარცხებდნენ მეტოქეს. ლისანდრო არბიზუს ლელოს კონტეპომიმ გარდასახვაც დაურთო, რასაც მეტოქის გარე ნახევარმცველმა ენდრიუ მერთენსმა საჯარიმოთი უპასუხა. ჯონა ლომუ და მისი პარტნიორები ვერაფრით ახერხებდნენ ინიციატივის ხელში აღებას და ლელოს ვინ ჩივის, მათ დამრტყმელ მერთენს თავის გამოჩენის საშუალებაც კი არ მიეცა. მოწინააღმდეგე ბანაკიდან კი კონტეპომი არ ცხრებოდა და ერთი საჯარიმოც დაუმატა თავის მონაგარს, მაგრამ არგენტინელები დიდად მაინც ვერ დაწინაურდნენ. ჯონა ლომუ რის ლომუა, ერთი-ორჯერ არ აიწყვიტოს და მეტოქის მცველები აქეთ-იქით არ დაიფრინოს. ახლაც, როდესაც „ოლ ბლექს" ყველაზე მეტად გაუჭირდა, მშველელად ისევ ლომუ მოევლინა. ამ მთაკაცმა თავის სტილში შეუტია, „პუმების" უკანახაზელები გადათელა და მოწინააღმდეგის სალელოე მოედანს უწია.

ეტყობა, შესვენებისას ჯონ მიტჩელმა გვარიანად შეახურა შეგირდები. მეორე ტაიმში მოედანზე აშკარად სხვა გუნდი გავიდა. სადღა იყო ტექნიკური წუნი, არაზუსტი პასები და ის ნერვიულობა, რომელიც პირველ ტაიმში ახასიათებდათ „შავებს". შედეგიც უმალ მოიმკეს სტუმრებმა და ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტიოდ წუთში არგენტინა უკან მოიტოვეს. ენდრიუ მერთენსმა ჯერ ახლო მანძილიდან, შემდეგ კი დაახლოებით 50 მეტრიდან სასწაულებრივ შეაგდო საჯარიმო და თავისიანები 14:10 დააწინაურა.

ამან მასპინძლები ვერ გატეხა. ისინი გაორმაგებული ჟინით ეკვეთნენ მეტოქეს. პირველი ლელოს ავტორმა ლისანდრო არბიზუმ მეორედაც შეძლო „შავების" დალელოვება, კონტეპომიმ გარდასახა, მერე კი ერთი საჯარიმოც გაიტანა, რასაც „ოლ ბლექსის" ათიანის მერთენსის პასუხი მოჰყვა. ამ დროისთვის ანგარიში 20:17 გახდა არგენტინელთა სასარგებლოდ. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ახალი ზელანდია მრავალმატჩიან დაუმარცხებელ სვლას ბუენოს აირესში შეწყვეტდა, მაგრამ სკოტ რობერტსონმა სხვაგვარად გადაწყვიტა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთები ბოლო წამებსლა ითვლიდა, როდესაც მანამდე უნიათოდ მოთამაშე ბენ ბლერი „პუმების" მცველებს დაუსხლტა და სიჩქარეაკრეფილი სკოტ რობერტსონი მოძებნა. ამ უკანასკნელმაც მეტოქის ლელოს უწია და სტუმართა გამარჯვება დააფიქსირა.

ჰიუსტონი

**აშშ 20:43 სამხრეთ აფრიკა**

**აშშ: 1 ლ: მაკდონალდი; 4 ს: ვილფლეი; 1 ა: კეიტერი**
**სამხრეთ აფრიკა: 6 ლ: კონრადი (2), ბითიონი, დოსი, როსოუ, შოლცი; 5 გ: [illegible]; 1 ს: [illegible]**

ამერიკელები ამ დღეს მთელი ოცი წელი ელოდნენ. 1981 წელს [illegible] სამხრეთაფრიკელებს და [illegible] წააგო. მას შემდეგ ეს გუნდები არსად შეხვედრილან ერთმანეთს და აი, ოცი წლის შემდეგ ჰიუსტონმა ამერიკელი „არწივების" და აფრიკელი „ქურციკების" მეორე ბრძოლას უმასპინძლა.

„ქურციკების" მთავარმა მწვრთნელმა ჰარი ვილჯოენმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ჰიუსტონში კვლავ სახეშეცვლილი ნაკრები ჩაიყვანა. მისი აზრით, 1995 წლის მსოფლიო თასის მფლობელებს ახალი სისხლი სჭირდებათ, რათა 2002 წელს თავი არ შეირცხვინონ.

„ქურციკებმა" დაამარცხეს ამერიკელები და ოთხი ტესტმატჩიანი ტურნეც დაასრულეს. ამ გამარჯვებაში მოზრდილი წვლილი სტუმართა შერკინების შავკანიანმა გამთამაშებელმა ჯასტინ კონრადმა შეიტანა. ეს ის კონრადია, ამას წინათ სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს თბილისში რომ ჩამოჰყვა და ქართველ მორაგბეებს თავგზა აუბნია.

**ბაჩო სვანიძე**



ბესო ახალაძის ფოტო

ჩვენი ძველი ნაცნობი ჯასტინ კონრადი

ჭადრაკი

**ქალებს** ვაჟებში არაფერი ესაქმებათ: მოსკოვში მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის ვაჟთა მერვედფინალში ვერ ვხედავთ დედამიწის ნომერ პირველ მოჭადრაკეს იუდით პოლგარს და მსოფლიოს ჩემპიონ სიე ძუნს. პირველი თითქმის დაბადებიდან და მეორე ბოლო ხანებში „ძუ იყოს, თუნდა ხვადიას" პრინციპს ამკვიდრებდნენ მეტ-ნაკლები წარმატებით და ბოლო ცდაზე მაინცდამაინც ვერაფერი გამოუვიდათ. ძუნი მეორე წრიდან გავარდა, პოლგარი — მესამიდან. მათგან უარყოფილი დანარჩენი ქალები კი თავიანთ ჩემპიონატს აგრძელებენ მაყურებლებისა და მასმედიის საკმაო უყურადღებობის პირობებში. მათ უკვე მეოთხედფინალის პირველი პარტიები ითამაშეს.

სასიამოვნოა, რომ 8 საუკეთესოში 2 ქართველი ურევია. და უსიამოვნო, რომ მაია ჩიბურდანიძემ ჰოლანდიის სახელით მოთამაშე ჟაოცინ პენგთან წააგო, თუმცა ყოფილი ჩინელი თეთრებით იყო და ამ წყვილში ყველაფერი როდი დასრულდა.

პარტია სვლების სიუხვით გამოირჩა. მეტოქეები თავიდან გაცვლებს ერიდებოდნენ და 26-ე სვლამდე მხოლოდ თითო პაიკი დაილუპა. მრავალი მანევრის შემდგომ პენგმა ეტლებით მე-7 ჰორიზონტალი დაიპყრო, ბოლოს კი ყველაზე განთქმული ენდშპილი მიიღო: ეტლი და პაიკი ეტლის წინააღმდეგ ისეთი პოზიციით, რომლის მოგების მეთოდი ყველა ძირითად ჭადრაკის სახელმძღვანელოში წერია. ჩიბურდანიძე 78-ე სვლაზე დანებდა. არცთუ ბევრად ნაკლები სვლები გაკეთდა სხვა დაფაზე, სადაც ნინო ხურციძე უკვე აბორიგენი ჩინელის წინააღმდეგ იბრძოდა. მათ პარტიაში ფიგურები ბევრად სწრაფად გაიცვალა და ენდშპილში ჩინელმა (მას ჟუ ჩენი ჰქვია) თავის ეტლებს ორივე ფლანგზე სამრავი გაუხსნა. სამაგიეროდ, ხურციძეს 2 კუ ჰყავდა 2 მხედრის წინააღმდეგ, ეს კი, მოგეხსენებათ, უპირატესობას ნიშნავს. ხურციძემ წააგო ბლომად პაიკები, რომ თავის ეტლით მეტოქის ბანაკში შეჭრილიყო და იქაურობის ნგრევას შესდგომოდა, მაგრამ ჩენი ყოჩაღად დაუდგა და მდგომარეობა ხომ გაათანაბრა, ზედმეტი პაიკიც შერჩა ხაზვით. დასკვნითი ენდშპილი აქაც „ეტლი და პაიკი ეტლის წინააღმდეგ" გახლდათ, ოღონდ თეორიულად საყაიმო პოზიციით. და შედეგიც საყაიმო დაფიქსირდა. მთელ ამ ამბავს ჩინელმა და ქართველმა 73 სვლა მოანდომეს.

არანაკლები იშრომა ზურაბ აზმაიფარაშვილმა კრემლის საბანკეტო დარბაზის ვაჟთა სექციაში. ძალიან ძლიერი ებრაელის, ბორის გელფანდის წინააღმდეგ მან ზუსტად იმდენი სვლა გააკეთა, რამდენიც ჩიბურდანიძემ, ესე იგი 78 და კინაღამ სახახელო ქულა მიითვალა. ეს იყო პარტია ორმხრივი ხოლიგური თამაშით, რომელშიც ქართველმა განმხოლოებული გამსვლელი პაიკი შექმნა და მთელი თავისი ძალები (ლაზიერი, ორი ეტლი და კუ) მისი გაყვანისკენ მიმართა. ებრაელმა პაიკის შეჩერება მოახერხა და ქართველის მანევრების პარალელურად თავს

# ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი. მოსკოვი (რუსეთი)

# ქართული სვლები: ბევრი და უნაყოფო

## ნოკაუტ სისტემა ნელ-ნელა ამართლებს



[illegible]

პასიურად იცავდა. გელფანდმა ვერ აღკვეთა თეთრების აქტივობა ლაზიერის ფრთაზე და პაიკს გამოეთხოვა. შემდეგ ებრაელმა მოახერხა ლაზიერების გაცვლა და დაფაზე აღმოცენდა სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილი, რომელშიც ზედმეტი პაიკი ცოტას ნიშნავს და ორი ზედმეტი პაიკიც, რაც ქართველს 62-ე სვლის შემდეგ აღმოაჩნდა. გელფანდი ნათლად ხედავდა თეორიულ ყაიმს და მკითხველიც დაინახავს, როცა საზავო ხელშეკრულებამდე სამი სვლით ადრე წარმოქმნილ პოზიციას დიაგრამაზე დააკვირდება. აზმაიფარაშვილის ძნელი მეორე პარტია ელის.

თუ არ ჩავთვლით ფიდეს პირველ მსოფლიოს ჩემპიონატს ლას ვეგასში, „ნოკაუტ სისტემა" საკმაოდ ობიექტური ჩანს, რის ნაკლებობასაც მრავალი უჩივის. დელიში მსოფლიოს ჩემპიონი ობიექტურად უძლიერესი გახდა (ვიშვანათან ანანდი) და ახლაც, მერვედფინალში გასულებიდან არც ერთია შემთხვევითი მოჭადრაკე (იხილეთ წერილის ბოლო). უკვე გავარდა ფიდეს ექსჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი, ხოლო მერვედფინალის პირველი პარტიებიდან გამოსარჩევია ორი პრინციპული ყაიმი ვესელინ ტოპალოვისა და ალექსეი შიროვის დაფაზე და ბრძოლა ყმაწვილსა და ახალგაზრდას შორის: რუსლან პონომარიოვმა ალექსანდრ მოროზევიჩს მოუგო. უკრაინელი თინეიჯერი ადრიდანვე ყალიბდება საჭადრაკო ელიტის პოტენციურ წევრად. მთელი მსუბუქი ფიგურების გაცვლის შემდეგ მისი მძიმე არტილერია აბსოლუტურად მოსაგებად იყო განლაგებული და ასეც მოხდა.

**[illegible]**



ვაჟები. მერვედფინალის პირველი წრე

**ალექსეი დრეევი (რუსეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5-0,5; მაიკლ ადამსი (ინგლისი) — პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) 0,5-0,5; რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 1-0; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — იე ძიანჩუანი (ჩინეთი) 1-0; ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) — პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია) 0,5-0,5; ევგენი ბარეევი (რუსეთი) — იან ეჰლვესტი (ესტონეთი) 1-0; ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) — ბორის გელფანდი (ისრაელი) 0,5-0,5; ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 0,5-0,5**

ქალები. მეოთხედფინალის პირველი წრე

**ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) — ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიე (მოლდოვა) 0,5-0,5; ჟაოცინ პენგი (ჰოლანდია) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 1-0; ნინო ხურციძე (საქართველო) — ჟუ ჩენი (ჩინეთი) 0,5-0,5; ხუ იუჰუა (ჩინეთი) — კრისტინა ადელა ფოიშორი (რუმინეთი) 0,5-0,5**

ხუთ რგოლში

# ეს ის პესკანტეა...

## კაცი, რომელსაც მერასოდეს მერაფერს შეტკივეზდნენ

**რეგიონულ** ოლიმპიურ მოძრაობაში ყველაზე დიდ და გავლენიან ორგანოს ახალი პატრონი გამოუჩნდა. მონაკოში ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა 30-ე გენერალურ ასამბლეაზე კონტინენტის ოლიმპიური მოძრაობის მომავალ მესაჭეს უყარეს კენჭი. თუმც რა იყო საყრელი, თავიდანვე ყველასთვის ნათელი გახლდათ, რომ ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის (ეოკ) პრეზიდენტობა ერთადერთ კანდიდატს, სპორტში და პოლიტიკაში გავლენიან იტალიელ მარიო პესკანტეს დარჩებოდა.



ჩაუძირავი მარიო პესკანტე

63 წლის პესკანტეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის საკმაო გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. ჯერ ერთი, 1989 წლიდან ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივნად მუშაობდა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ივნისში ქვეყნის სპორტის მინისტრადაც დანიშნა. გარდა ამისა, პესკანტე, რომელიც ამავე დროს სოკ-ის წევრიცაა, ბოლო წლების ოლიმპიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაში ტურინის გაოლიმპიურებაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის, ისევე როგორც სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჟაკ როგის გამარჯვებაში. იტალიელი, შეიძლება ითქვას, როგის საპრეზიდენტო კამპანიისას საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გახლდათ. თუმც პესკანტეს კარიერა სულ ია-ვარდით როდი იყო მოფენილი. 1998 წელს რომის დოპინგკონტროლის ლაბორატორიაში აკრძალული პრეპარატების გამოყენების მიჩქმალვისა თუ საქმისადმი არასწორი მიდგომის გამო პესკანტე იძულებული გახდა, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი თანამდებობიდან გადამდგარიყო. გარდა ამისა, რომის ოლიმპიური სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით ქვეყნის სამართალდამცავებმა კორუფციის ფაქტები შენიშნეს და ეჭვმიტანილთა შორის მარიო პესკანტესაც ასახელებდნენ, თუმცა მოგვიანებით გამომძიებლებმა იტალიელს ორივე ბრალდება მოუხსნეს იმ მოტივით, რომ მის წინააღმდეგ ვერანაირ სამხილს ვერ მიაკვლიეს.

მაშინ, როდესაც პესკანტესთვის არჩევნები ფორმალობასღა წარმოადგენდა, ეოკ-ის იერარქიაში მნიშვნელოვანი თანამდებობების დაკავებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტობისთვის სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, თურქი თოგაი ბაიათლი, ჰოლანდიელი ერიკა ტერპსტრა და რუსი ალექსანდრ კოზლოვსკი იბრძოდნენ და გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა. რაც შეეხება პესკანტეს მიერ გამოთავისუფლებულ გენერალური მდივნის თანამდებობას, როგორც წინასწარმეტყველებდნენ, სლოვაკ მარტინ ბენკოსთან პაექრობისას ეოკ-ის ირლანდიელ ვიცე-პრეზიდენტ პატრიკ ჰიკს უნდა გაემარჯვა და ასეც მოხდა. ჰიკი კი პესკანტეს მოკავშირეა.

„პესკანტემ და ჰიკიმ იციან, რომ ეოკ-ს საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე არასდროს გამოუყენებია. ოლიმპიურ მოძრაობაში ყველაზე მნიშვნელოვან ძალას ევროპა წარმოადგენს. მათი ტანდემი კი ყველანაირად ეცდება ამ ძალის ამოქმედებას. ვფიქრობ, ეოკ-ი პესკანტესა და ჰიკის ხელში სულ სხვაგვარად განვითარდება, ვიდრე ეს როგის მმართველობისას იყო“ — განუცხადა ეოკ-ის ერთ-ერთმა მოხელემ „ფრანს-პრესის“ სააგენტოს.

ასე რომ, ევროპას მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იტალიელი და ირლანდიელი გაუძღვებიან.

# რომელი პლატონი ჯორჯ ბუშია?!

## ჟაკ როგი ამერიკას შეუძლებელს სთხოვს: ტაიმ-აუტს ბინ ლადენისთვის

**ნიუ იორკში,** ვაშინგტონსა და პენსილვანიაში მოწყობილი ტერაქტებიდან ზუსტად სამი თვის თავზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ოლიმპიური ზავი გამოცხადდება. ამისთვის საჭიროა რეზოლუცია, რომელიც ოლიმპიური თამაშებისას, ამ შემთხვევაში სოლტ ლეიკ სიტის თეთრი ოლიმპიადისას, მსოფლიოს საზოგადოებრიობას მოუწოდებს, თავი შეიკავონ შეიარაღებული კონფლიქტებისგან. თუმცა, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ოლიმპიზმის მამათა შეგონება, ავღანეთში საომარი მოქმედებები შეწყვიტოს, ყურად არ იღო. მართალია, ბუშის განცხადება ოფიციალურად ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მასთან შეხვედრის შემდეგ სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგსა და სოლტ ლეიკ სიტის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელ მიტ რომნის სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეექმნათ.



ჟაკ როგმა მშვიდობის მტრედები ვერ ააფრინა

ჟაკ როგმა ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში სთხოვა ამერიკის პრეზიდენტს, ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიური ზავი გამოეცხადებინა. მან არაერთხელ სცადა, საკითხი დიპლომატიურად მოეგვარებინა, სიტყვა „ავღანეთი“ საერთოდ არ დასცდენია და ბუშს ძველი ოლიმპიური ტრადიციაც კი შეახსენა, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელი სკოტ სტენსილი აცხადებს, ჯორჯ ბუშმა ყველასთვის გასაგებად განმარტა, რომ იგი მხარს დაუჭერს გაეროს მიერ მიღებულ მხოლოდ იმ რეზოლუციას, რომელიც მსოფლიოს საზოგადოებრიობას მოუწოდებს ოლიმპიადის დედაქალაქისკენ მგზავრობისას ათლეტთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას და არავითარ შემთხვევაში ცეცხლის შეწყვეტას. ოლიმპიზმის მესაჭეებსაც სხვა რა გზა დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა მდგომარეობას გაგებით მოეკიდონ. დიპლომატიურობით გამორჩეულმა სოკ-ის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა კარგად უწყოდა თეთრი სახლის შესაძლო პასუხი. ამიტომაც თადარიგი ადრევე დაიჭირა, როდესაც განაცხადა, რომ ოლიმპიური ზავის გამოცხადება სურვილია და არა ულტიმატუმი. ისე, ამერიკელები ამ იდეას მხარს კი უჭერენ, მაგრამ თუ თებერვლამდე „ალ ქაიდას“ ტერორისტთა და მათი ავღანელი მხარდამჭერების განადგურება არ დასრულდება, ისინი საომარ მოქმედებებს არ შეწყვეტენ.

„ზავი, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ სპორტსმენებს თავისუფლად შეეძლოთ აშშ-ში ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ჩამოსვლა“ — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა და იქვე დასძინა, რომ თუ ტერორისტები ამერიკაში ბობსლეისტთა ნაკრების წევრებად შეეცდებიან შემოღწევას, მათ აუცილებლად დააკავებენ.

ახლა კი, გავიხსენოთ, საიდან მოდის ოლიმპიური თამაშებისას საომარი მოქმედებების შეწყვეტის იდეა. ყველაფერი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, 776 წელს დაიწყო, ანუ მაშინ, როდესაც ოლიმპიური თამაშების ისტორიის პირველი ფურცელი გადაიშალა. იმხანად ოლიმპიური თამაშებისას მეომარ სახელმწიფოებს შორის იდებოდა „წმინდა ზავი“ — „ეკეხერია“, რომლის დროსაც დაუძინებელი მტრები იარაღს ყრიდნენ და ერთად მიემართებოდნენ ოლიმპიისკენ. ისინი მშვიდად, უშიშრად გადადიოდნენ ერთი მტრული სახელმწიფოდან მეორეში, მაგრამ ასე იყო ანტიკურ ოლიმპიურ ხანაში, დღეს კი...

თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაშიც გაჩნდა ძველ საბერძნეთში 2700 წლის წინათ არსებული ტრადიციის აღდგენის იდეა, თანაც მაშინ, როდესაც ბებერ კონტინენტზე სისხლისმღვრელი ომი მძვინვარებდა. 1992 წელს ოლიმპიზმის მაღალჩინოსნები საგონებელში ჩავარდნენ. არ იცოდნენ, რა ფორმით მიეპატიჟებინათ ომის ქარცეცხლში გახვეული იუგოსლავია ბარსელონაში. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ ხორვატიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის, სლოვენიისა და მაკედონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები დროებით მიიღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კალთებქვეშ. ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისას კი სოკ-ის მეშვიდე პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი სასწრაფოდ გადაფრინდა სარაევოში იმ იმედით, რომ იქნებ როგორმე, ცოტა ხნით მაინც, ბალკანეთის კონფლიქტში სამშვიდობო ზავისთვის მიეღწია. მაშინ სოკ-ის ხელმძღვანელობამ ნორვეგიის ხელისუფლებასთან თანამშრომლობით საკუთარ თავზე აიღო სარაევოდან სპორტსმენთა ევაკუაცია და მათი ლილეჰამერში გადაყვანა.

დღეს კი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს ამ მხრივ სანერვიულო არა აქვთ — ავღანეთის ოლიმპიური კომიტეტი ხომ უკვე ორი წელიწადია, სოკ-იდან გარიცხულია. ამიტომაც ავღანელ სპორტსმენთა ხილვა სოლტ ლეიკ სიტიში აქედანვე გამორიცხულია.

**გიგა გურასპიშვილი**

# ქართულად აკონკაგუაზე

**წარმატებით** გასრულდა მთამსვლელთა პირველი ქართული ექსპედიცია მწვერვალ აკონკაგუაზე. სამხრეთ ამერიკის ეს უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს ბენო ქაშაკაშვილმა, აფი გიგანმა და მერაბ ხაბაზმა, რომლებსაც სხვადასხვა ჯგუფის შემადგენლობაში დედამიწის უმაღლესი პიკიც დაულაშქრავთ.

მართალია, ისინი პირველი ქართული ექსპედიციის წევრები იყვნენ აკონკაგუაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს თანამემამულეთაგან მანამდე არავინ ასულა. პირველი იყო თბილისელი გია თორთლაძე, ვინც რუსეთის მთამსვლელებთან ერთად 1996 წელს ავიდა ამ მწვერვალზე.

"მაგთი GSM"
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. "ოპერისა და ბალეტის" სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიას "რაინდები".
ორგანიზატორები:
"საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია",
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, შ.პ.ს. "ვერიტა".
საინფორმაციო მხარდაჭერა:
სარბიელი, ოლიმპი
გენერალური სპონსორი
MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე.

ანკეტა

დამოუკიდებელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
|---|---|
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი: ____________

გვარი ____________
სახელი ____________
ასაკი ____________

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
მობ: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com

7. 8. 9 დეკემბერი
საქართველოს 2001 წლის ღია ჩემპიონატი ნარდში
ტურნირზე მოწვეულნი არიან მოსკოვის, სომხეთის და აზერბაიჯანის უძლიერესი მონარდეები
ჩემპიონატი ჩატარდება რესტორან „არაგვში“
(სანაპიროს ქუჩა, №1), რომელიც გახლავთ ამ ტურნირის მასპინძელი და სპონსორი.
მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 7 დეკემბერს 11 საათზე
ტურნირის დასაწყისი: 7 დეკემბერი, 13 საათი
ცნობებისათვის დარეკეთ:
ტელ: 34 10 44.
899 92 32 12.
899 55 01 48.
საქართველოს ნარდის ფედერაცია


REUTERS

# მაისურებიანი კომენტარი

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წილისყრას კომენტარი გაუკეთეს, შემდეგ წამოდგნენ, ხელში თავ-თავიანთი ნაკრებების მაისურები დაიჭირეს და ფოტო გადაიღეს. მათ, კაცმა რომ თქვას, რა წარდგენა სჭირდებათ, მაგრამ მაინც.
მარცხნიდან: ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), სტივ მაკმანამანი (ინგლისი), რაული (ესპანეთი), რობერტო კარლოსი (ბრაზილია), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ჯერემი (კამერუნი).

# უსირცხვილოს ფოტო


REUTERS

ახალზელანდიელმა და ავსტრალიელმა მოკრიკეტეებმა ტრანსტასმანიის თასისთვის გამართეს ბრძოლა. სამმატჩიან ტესტში სამივე ფრედ დასრულდა და დებულების თანახმად, ჯილდო ძველ მფლობელს, ავსტრალიას დარჩა. რაო, ახალზელანდიელი ქომაგი ქალიო? ვაა, შიშველი არ ყოფილა, ეს უსირცხვილო?!

# ომის ბილიკებზე

აი, დახედეთ ამ ფოტოს. თქვენს წინაშეა ქვეყანა, რომელიც ომობს! კოსტიუმში მისი პრეზიდენტი, ჯორჯ ბუშ უმცროსია. ის წილისყრის ცერემონიალში მონაწილეობს. უფრო ზუსტად, მან უნდა ააგდოს მონეტა და თუ არიოლზე დაჯდება, თამაშს ერთი გუნდი დაიწყებს, თუ რეშკაზე — მეორე. გუნდები გახლავან აშშ-ის არმიისა და ფლოტის ნაკრებები. ამერიკულ ფეხბურთში ასეთი თამაში უკვე ასმეორედ იმართება.


REUTERS

# დე გოლმა შეაყარა

ფრანგმა ჩოგბურთელმა ფაბრის სანტორომ მელბურნში თანაგუნდელებთან ერთად ავსტრალიელებს დევისის თასი მოუგო და დაალონა, თავად კი გაიხარა. სანტოროს ცოლ-შვილი სამშობლოში ელოდა და შინ დაბრუნებისას სიხარულს სიხარული შემატა. გენერალი შარლ დე გოლი კი სათაურში იმიტომ ვახსენეთ, რომ ოჯახის შეყრა მისი სახელობის აეროპორტში მოხდა. აბა, კრისლერს და პატარა ფენის გული როგორ მოუთმენდათ, ავსტრალიელთა მძლეველს აეროპორტში არ დახვედროდნენ.


REUTERS


REUTERS

# მიდი, მოადე!

შენ დაუკა! მსაჯთა მთელი გამობრძმედილი კორპუსი ჩაერია და ლოს ანჯელესელი კენ ბილანგერი კალგარელ კრეიგ ბერუბს ძლივს ააფლითეს, რომ ააფლითეს, ხუთ-ხუთი წუთით დასაჯეს. შეხვედრა დამთავრდა 2:0 კალგარის სასარგებლოდ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაб ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge